საქართველოს რესპუბლიკა

ხუთშაბათი, 10 მარტი, 2005 წელი. №55 (5088) * გაზეთი დაარსებულია 1918 წელს, * ფასი 50 თეთრი

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

◎ მთავრობა

გელა ჩარკვიანი „დაკითხვაზე“, მთავრობამ კი ბიუჯეტში ცვლილებები შეიტანა...

მთავრობის სხდომაზე მისულ ჟურნალისტებს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა დასაწყისშივე მოულოდნელი სიახლე შემოგვთავაზა: მან „პრესისთვის მთავარ წარმომადგენლად“ დაასახელა გელა ჩარკვიანი, რომელიც ამიერიდან პრეზიდენტის პრეს-სპიკერის ფუნქციებს შეასრულებს. ალანა გაგლოევა მისი მოადგილე იქნება.

„გელა ჩემი მასწავლებელია, – თქვა მიხეილ სააკაშვილმა, – ინგლისურთან ერთად, რომელიც ყველაზე კარგად იცოდა მაშინდელ საქართველოში, მასწავლიდა აგრეთვე ჟურნალისტიკას, სოციოლოგიას, პოლიტოლოგიას. იგი ძალიან მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტია და ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ დათანხმდა, მოვიდეს სახელმწიფო სამსახურში. გელას მოსვლა ჩვენთან კიდევ ერთხელ აღასტურებს, რომ დღეს საქართველოს ყველა ასაკის პროფესიონალი სჭირდება. არც ერთი კვალიფიციური სპეციალისტი დასაკარგი არა გვყავს“...

პრეზიდენტმა იქვე ჟურნალისტებს მიმართა: იგი ჩემზე უკეთესად შეძლებს ყველაფრის ახსნას, ჩათვალეთ, რომ მისი სახით ლაპარაკობს სააკაშვილი!...

გელა ჩარკვიანმა მადლობა გადაუხადა პრეზიდენტს „გულუხვი წარდგენისათვის“, შემდეგ ჟურნალისტებს სთხოვა, მაინცდამაინც დღეს ნუ „დამკითხავთ“, რადგან ჩემთვისაც მოულოდნელი იყო ეს შემოთავაზება, ამიტომ ბევრს ვერაფერს ვიტყვიო. თუმცა იქვე დასძინა, რომ მართალია, სათანადო გამოცდილება აქვს საგარეო ურთიერთობებსა და სოციალურ მეცნიერებებში და არა პრესაში მუშაობისა, ახალ თანამდებობაზე თავს მაქსიმალურად არ დაიმოგავს და ყველაფერს გააკეთებს.

იხ. მე-2 გვ.

◎ დროის ხმა

არ ეკუთვნის სამშობლო ერთ დროს და ერთ თაობას

საქართველოს სიცოცხლე სიცოცხლეა იმათი,
ვინც იცხოვრა სამშობლოს სიყვარულით, სიმამაცით.
უერთგულეს ძვეყანას, ძმისფეს კვართით შეღოცვიღს,
სამშობლოსთვის იცოცხლეს, მოკვდნენ საქართველოსთვის.
თუმც ძვეყნისთვის სიკვდილი მიიჩნიეს წყალობად,
ან ეკუთვნის სამშობლო ერთ დროს და ერთ თაობას.

საქართველო არავის ან უდგება თავდებად,
ის არავით იწყება, არც არავით თავდება.
ახლა მისი სიცოცხლე სიცოცხლეა იმათი,
ვინც დღეს ცხოვრობს სამშობლოს სიყვარულით, სიმამაცით.
უსამშობლო სიცოცხლე არის არარაობა,
ან ეკუთვნის სამშობლო ერთ დროს და ერთ თაობას.

საქართველო არავის დაუდგება თავდებად,
ხვალ იქნება იმათთან, ვინც დიდგორთან დადგება.
საქართველოს სიცოცხლე ხვალ იქნება იმათი,
ვინც იცოცხლებს ხვალ ძვეყნის სიყვარულით, სიმამაცით.
ვინც დაიკავს ხვალ ერის ღიმსლებას და ტაობას
ან ეკუთვნის სამშობლო ერთ დროს და ერთ თაობას.

საქართველო არავის დაუდგება თავდებად,
ის არავით იწყება, არც არავით თავდება.
ამაოა სუტვიღი, ქადიღი და ზვაობა,
ან ეკუთვნის სამშობლო არც ერთ დროს და თაობას,
ტადგან მისი სიცოცხლე ხალხია და ერია,
საქართველოს სიკვდილი არა, არ უწერია!

ნოდარ ჯალალონია.
2005 წ. თებერვალი.

◎ სიტუაცია

შემცივნული ბავშვების ჯიუტი მოთხოვნა და ხარვეზზე დაფიქრებული პარლამენტი

ძალზე სუსხიანი იყო გუშინ თქორით გაჟღენთილი ჰაერი თბილისში. ამიტომაც გადაულაპარაკა ერთმა პარლამენტარმა მეორეს – გაიყინებიან ის ბავშვები და დაიშლებიანო. მაგრამ პრობლემა ასე „იოლად“ – გაყინვით არ წყდება. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და ი. ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლეჯების სტუდენტები აქციას აგრძელებენ და მოითხოვენ, შიდა გამოცდებით ჩაირიცხონ უნივერსიტეტში, რასაც ითვალისწინებდა მათთან დადებული ხელშეკრულება.

ალმასრულებელი ხელისუფლების პოზიცია მკაფიოა – ყველა აბიტურიენტმა უნდა გაიაროს საერთო ეროვნული გამოცდები. განათლების სამინისტრო კოლეჯის სტუდენტებისთვის გამონაკლისის დაშვებას არ აპირებს. პარლამენტში კი სხვადასხვაგვარი პოზიცია იხატება.

„მემარჯვენე ოპოზიცია“ მხარს უჭერს სტუდენტებს. საპარლამენტო უმრავლესობა – ხელისუფლებას. თუმცა, უმრავლესობის ზოგიერთი წევრიც თვლის საჭიროდ, რომ კოლეჯის მესამეკურსელმა სტუდენტებმა არ გააიარონ ერთიანი ეროვნული გამოცდები. განათლების კომიტეტის წევრი **გუგული მაღრაძე** შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალს სხვაგვარად ხედავს.

– უნივერსიტეტებს ბევრ ქვეყანაში აქვთ უფლება, სტუდენტს ჩაუთვალონ გარკვეული საგნები და ამის მიხედვით განსაზღვრონ, რომელ კურსზე დასვან. ეფიქრობ, კოლეჯის სტუდენტებმა უნდა ჩააბარონ საერთო ეროვნული გამოცდა და დადებითქულიანებმა მიმართონ უნივერსიტეტს. თუ რექტორატი ჩაუთვლის მათ გავლილ საგნებს, დასვამს მეორე ან მესამე კურსზე. ამდენად, კარგ სტუდენტებს წლები არ დაეკარგებათ და დაჩაგრულები არ იქნებიან. თანაც, ისინი აჩვენებენ თავიანთი ცოდნის დონეს და იმას, რომ ღირსნი არიან, ისწავლონ უნივერსიტეტში.

იხ. მე-2 გვ.

◎ ინფორმაცია

პარლამენტის წინ ქუთაისელი გარემოვაჭრეები გამოჩნდნენ

პარლამენტის შენობის წინ ქუთაისიდან ჩამოსულმა 100-მდე გარემოვაჭრემ საპროტესტო აქცია გამართა. გარემოვაჭრეები მთავრობის იმ გადაწყვეტილებას აპროტესტებენ, რომლის მიხედვით, მათ აქციზური სიგარეტით გარევაჭრობა აეკრძალათ.

აქციის მონაწილეები სიგარეტით გარემოვაჭრეების ბათუმიდან და ზუგდიდან ჩამოსვლას ელოდებიან და აცხადებენ, რომ არ დაიშლებიან, სანამ პარლამენტი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას არ მიიღებს და მათ ვაჭრობის ნებართვას არ გაუგრძელებს.

„მემარჯვენე ოპოზიცია“ აქციას პოლიტიკურ მხარდაჭერას უცხადებს.

ვინ აშინებს მოსამართლეებს?

„მემარჯვენე ოპოზიცია“ საქართველოს ხელისუფლებას სასამართლო სისტემაზე ზემოქმედების განხორციელებაში ადანაშაულებს. საპარლამენტო ფრაქცია „მემარჯვენე ოპოზიცია – მრეწველები, ახლების“ წევრების ინფორმაციით, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს სამსახურიდან წასვლის თაობაზე განცხადებებს ფარული შანტაჟითა და დაშინებით აწერინებენ.

„საქართველოს ხელისუფლებამ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა რიცხოვნობის შემცირება რეორგანიზაციის გზით ვერ მოახერხა, რადგანაც აღნიშნული რეორგანიზაცია არაკონსტიტუციური და არაკანონიერი იყო. ამიტომაც, ხელისუფლების წარმომადგენლები შანტაჟითა და დაპირებებით ცდილობენ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შემცირებას“, – განაცხადა „ინტერ-პრესთან“ საუბრისას „მემარჯვენე ოპოზიციის“ წარმომადგენელმა გიორგი ცაგარეიშვილმა.

ჭუბარხინჯის შეხვედრა მეორედ გადაიდო

აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში მოქმედი რუსეთის სამშვიდობო ძალების სარდლის, გენერალ-ლეიტენანტ ალექსანდრე ევტეევის თხოვნით გუშინ დაგეგმილი ჭუბურხინჯის ოთხმხრივი შეხვედრა უკვე მეორედ გადაიდო.

შეხვედრის გადადების მიზეზად სამშვიდობო ძალების სარდლობა აფხაზური მხარის მიერ სოფელ ჭუბურხინჯიდან ე.წ. აფხაზი მებაჟეების არგაყვანას ასახელებს.

ევტეევის განცხადებით, ჭუბურხინჯის შეხვედრები მანამ არ განახლდება, სანამ გალის რაიონში არსებული უსაფრთხოების ზონა აფხაზური სამხედრო დაჯგუფებებისგან მთლიანად არ გათავისუფლდება.

დაბუსტებული ინფორმაციით, უკანასკნელ პერიოდში რუს სამშვიდობოებსა და აფხაზ ძალოვანებს შორის ურთიერთობა საგრძნობლად დაიძაბა.

ქართველი და ოსი ვეტერანები თანხმდებიან

ქართველი და ოსი ვეტერანები პოლიტიკოსებს ქართულ-ოსური კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებისაკენ და სამშვიდობო პროსესში წვლილის შესაგანად თანამშრომლობის შესახებ თანხმდებიან.

პოლიტიკოსებისადმი ერთობლივი განცხადება და თანამშრომლობის შესახებ გადაწყვეტილება ქართველმა და ოსმა ვეტერანებმა 5 მარტს ცხინვალში, საქართველოს ომის ვეტერანთა და ინვალიდთა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამხრეთ ოსეთში მოქმედი ინვალიდთა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების შეხვედრაზე მიიღეს.

პოლიტიკოსებისადმი ერთობლივ მიმართვაში ნათქვამია, რომ ვეტერანებისათვის მიუღებელია კონფლიქტის სამხედრო გზით მოგვარება. განცხადების ავტორები მოუწოდებენ ქართველ და ოს პოლიტიკოსებს, ქართველებსა და ოსებს შორის არსებული ყველა პრობლემა მოლაპარაკების მაგიდასთან გადაჭრან.

„მიკროსესხი“ მცირე ბიზნესისთვის

სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ „საქართველოს ბანკმა“ ახალი სერვისის – „მიკროსესხი+“-ის პრეზენტაცია გამართა. სერვისი მცირე ბიზნესისთვის არის განკუთვნილი. ბიზნესმენს, რომელიც საქართველოს ბანკიდან კრედიტს აიღებს, ბანკის ზოგიერთი პროდუქტის უფასოდ ან ზოგ შემთხვევაში ფასდაკლებით გამოყენება შეეძლება. კლიენტი ავტომატურად ჩაერთვება ონლაინ ბანკის, ონლაინ გადახდების ფუნქციებში.

ინტერ-პრესი.

◎ უცხოური პრესიდან

„იტარ-ტასის“ სინფორმაციო სააგენტო, 9 მარტი.

მიხეილ მარგველოვი: საქართველოდან სამხედრო ბაზების გაცლის მოთხოვნა რუსეთისთვის მიუღებელია

საქართველოს მოთხოვნა ამ ქვეყნის ტერიტორიიდან რუსეთის ბაზების სასწრაფო გაცლის შესახებ, მიუღებელია, მიაჩნია ფედერაციის საბჭოს საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარეს მიხეილ მარგველოვს. ეს „მოწმობს, რომ ქართულ მხარეს სათანადოდ კარგად არა აქვს გააზრებული რეგულარული საჯარისო ნაწილების დისლოკაციის ადგილის შეცვლის პირობები“, – განმარტა მან. სენატორმა გაიხსენა, რომ რუსეთის არმიას „უკვე ჰქონდა აღმოსავლეთი ევროპიდან ძალზე ნაჩქარევად წასვლის გამოცდილება და ჯარებისა და ტექნიკის კიდევ ერთხელ ასე ნაჩქარევად გამოყვანა „ალბათ მიზანშეწონილი არ იქნება“.

მარგველოვმა ასევე ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ საქართველოს მხარე ცდილობს რუსეთს უკარნახოს თავისი პირობები ძალის პოზიციიდან. რუსეთს, დარწმუნებულია მარგველოვი, „არ აქვს საფუძველი იმისთვის, რომ უკან დაიხიოს ამკარა შანტაჟის წინაშე, თუნდაც ამას განამტკიცებდეს თბილისის მეგობრობა ნატოსთან“.

ბათუმსა და ახალქალაქში დისლოცირებული რუსული სამხედრო ბაზების ყოფნის „უკანონოდ“ გამოცხადების საკითხი შეგანილია საქართველოს პარლამენტის მორიგი სესიის 9 მარტის სხდომის დღის წესრიგში.

◎ კანონმდებლები

რა უნდა მოინელოს რუსეთის დუმამ?



საკითხი, რომელმაც საპარლამენტო უმრავლესობა და ოპოზიცია გააერთიანა, რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანაა. იმაზე, მიეღოთ თუ არა დადგენილება, გუშინ საკმაო ხანს იყოყმანეს ზოგიერთებმა, დაახლოებით, ამ მოგივაციით – ფარა გავწყვიტოთ, ვაითუ, მგელი გამოჩნდესო. მგელი, ჩვენს შემთხვევაში, რუსეთია – ელექტროენერგიას აღარ მოგვაწვდის ან გაზზე ტარიფებს გაგვიზრდისო, ქართველებს გამოყრის თავისი ტერიტორიიდანო და ა. შ. ბევრი შიშნარევი ვარაუდი გამოითქვა.

– იმისათვის, რომ არავინ გავაღიზიანოთ, არაფერი არ უნდა გავაკეთოთ. ეს დადგენილება დირს იმ ფასად, რაც მოჰყვება, – აღნიშნა ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ დათო ბაქრაძემ. მართალია, მას, ერთი შეხედვით, არაფერი ჰქონდა საერთო თავდაცვისა და საგარეო ურთიერთობათა კომიტეტებთან, მაგრამ მათს გაერთიანებულ სხდომაზე მაინც მივიდა. საკითხი, რომელიც გუშინ ორი კომიტეტის სხდომაზე განიხილეს, ყველას ერთნაირად აღელვებდა.

იმას, რომ სამხედრო ბაზების გაყვანის მოთხოვნა, შეიძლება, გარკვეულ საფასურად დაგვიჯდეს საქართველოს მოქალაქეებს, ყველა გამომსველი უსვამდა ხაზს. მაგალითად, გივი თარგამაძემ შეკითხვის საპასუხოდ – გლდანელებს შუქს თუ გამოურთავენ, პასუხს ვინ გასცემსო – პირობა დადო: – ჩემი ფეხით მივალ რამდენჯერმე, ვიცი, თქვენც წამოხვალთ ჩვენთან ერთად, ყველაფერს ავუხსნით მოსახლეობას და გაგვიგებენო. რაც შეეხება რუსეთიდან ქართველების გამოყრას, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე კოტე გაბაშვილის თქმით, ეს გამორიცხულია:

– ქართველები რომ გამოყვარონ, ეთნიკური წმენდა უნდა ჩაატარონ. ამას კი ვერ იზამენ. ნუ ვქმნით ფანტომებს. ნუ შეგვაშინებს დუმისა თუ სამხედროების გაბრაზება, ეს მათ უნდა მოინელონ.

კიდევ ერთი რამ, რასაც გამომსველები იმეორებდნენ, დადგენილების, ასე ვთქვათ, ხასიათია – ეს არ არის ანტირუსული, მტრული დადგენილება. სწორედ რომ პირიქით. სამხედრო ბაზების გაყვანას ქართულ-რუსული ურთიერთობის მოწესრიგება და უფრო ცივილიზებულ ფორმაში გადასვლა მოყვება.

იხ. მე-2 გვ.

◎ წუხელ

ევროპის სტადიონებზე გაიმართა ფეხბურთში ჩემპიონთა ლიგის საპასუხო მერვედფინალური შეხვედრები. გაუწყებთ მათ შედეგებს:

„იუვენტუსი“ – „რეალი“ 2:0 (0:1),
„არსენალი“ – „ბაიერნი“ 1:0 (1:3),
„მონაკო“ – „ეინდჰოვენი“ 0:2 (0:1),
„ლევერკუზენი“ – „ლივერპული“ 1:3 (1:3).

◎ ინტერპანორამა

გამოძიებას რამდენიმე ვერსია აქვს აზერბაიჯანული ჟურნალის „მონიტორის“ მთავარი რედაქტორის მკვლელობის თაობაზე

ამჟამად ეძებენ ვინმე სახელად ვუგარს, რომელმაც რამდენჯერმე მიაკითხა ჟურნალისტის სახლს, როცა იგი შინ არ იმყოფებოდა. მკვლელობამდე ცოტა ხნით ადრე ამ ვინმე ვუგარმა ჰუსეინოვის მობილური ტელეფონი მოიძია, ჟურნალისტს შეხვედრაც დაუნიშნა, მაგრამ შესახვედრად არ მისულა.

კუზმას თანაშემწემ იუზჩენკოს ლონდაბის საქმის გამო სიცრუის დეტექტორზე ტესტის გავლა შესთავაზა

უკრაინის პროკურატურა ლეონიდ კუზმასთან საუბრის გარდა შეიძლება რომ ვიქტორ იუშჩენკოსთან საუბრითაც დაინტერესდეს. დეპუტატ ლეონიდ ჩერნოვიცკის აზრით, დეტექტორზე ტესტის გავლა აუცილებელია „ლონდაბის საქმეში“ ზოგიერთი უცნობი წვრილმანის გასარკვევად.

ბაღდადში თავს დაესხნენ ერაყის დაგეგმარების მინისტრს

ერაყელმა მოთარეშეებმა ოთხშაბათს ბაღდადში შეუტიეს ქვეყნის დაგეგმარების მინისტრის მეხდი ალხადიდრის კორტეჟს. პოლიციის მონაცემებით, დაიღუპა ერთ-ერთი მცველი, თვითონ მინისტრი გადარჩა.

„საქართველოს რესპუბლიკა“ სიახლეებს ყიდულობს!

გინდათ მუდმივად ჯიბის ფულის ქონა? დაგვირეკეთ და ერთი დარეკვით 20 ლარი ალალი იყოს თქვენზე! ეს ჰონორარი ელოდება ყველას, ვის მიერ მოწოდებული ინფორმაციაც დაიბეჭდება „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე. გვაცნობეთ ყველაფერი საყურადღებო, სენსაციური და უზვეულო, რაც კი რამ თქვენს გარშემო ხდება, ან რასაც შეიტყობთ თუ გაიგონებთ. ნამდვილად არ წააგებთ.

დაგვირეკეთ ყოველდღე, დილის 10 საათიდან 16 საათამდე.
ჩვენი ტელეფონია: 99-73-24, 93-22-93.
E-mail: sakresp@gol.ge

საქართველოს რესპუბლიკა
№ 55, ხუთშაბათი, 10 მარტი, 2005 წელი.

◎ მთავრობა

გელა ჩარკვიანი „დაკითხვაზე“, მთავრობამ კი ბიუჯეტში ცვლილებები შეიტანა...

(პირველი გვერდიდან)

მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ, პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა დადებითად შეაფასა პრეზიდენტის ზემოხსენებული გადაწყვეტილება. დარწმუნებული ვარ, ბატონი გელა ჩარკვიანი თქვენც გაგიაადვილებთ მუშაობას და ჩვენც გაგიაადვილებს თქვენთან მუშაობასო, მიმართა ჟურნალისტებს ზურაბ ნოღაიდელმა.

პრემიერ-მინისტრმა ჟურნალისტებს გააცნო, აგრეთვე, მთავრობის სხდომაზე განხილული საკითხები. 2005 წლის ბიუჯეტში ცვლილებები შევა. სახელმწიფო ბიუჯეტი დაახლოებით 450 მილიონი ლარით გაიზრდება, ძირითადად, პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავლებით, თუმცა არის ზრდა როგორც საგადასახადო, ასევე არასაგადასახადო შემოსავლების ნაწილსა და გრანტებშიც.

ზურაბ ნოღაიდელმა ორიოდე სიტყვა ხარჯების სტრუქტურაზეც თქვა და დასძინა, რომ 27 მილიონი ლარის ოდენობის ეროვნული ბანკის სესხი აღარ იქნება გათვალისწინებული. მის ნაცვლად შარშანდელი დაგროვილი დეპოზიტი გამოიყენება. მთავრობა მომავალში ალბათ შეწყვეტს ეროვნული ბანკისგან გრძელვადიანი სესხის აღებას და ინფოვაციური მოდელით ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსებას. „ღრმად ვარ დარწმუნებული, უახლოესი წლების განმავლობაში ამის ფისკალური საჭიროება არ გვექნება“, – დაასკვნა პრემიერ-მინისტრმა.

მან მთავრობის ძირითად მიმართულებებშეც ისაუბრა. საშუალო განათლების რეფორმის დაფინანსებაზე სექტემბრიდან დაახლოებით 17 მილიონწე მეტი ლარი იქნება გათვალისწინებული. ამის გარდა, 4,5 მილიონი ლარი დასჭირდება საქართველოს საშუალო სკოლების სრული კომპიუტერიზაციის პროგრამას. კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორგის სამინისტროს დამატებით 3,4 მილიონი ლარით გაეზრდება დაფინანსება, რომელიც, ძირითადად, დაიხარჯება მასობრივი სპორტის ინფრასტრუქტურის წესრიგში მოსაყვანად, აგრეთვე, საქართველოს ძეგლების რეკონსტრუქციის პროგრამის დასაწყებად და ახალგაზრდული პროგრამების დასაფინანსებლად.

ჯანდაცვაც დამატებით 30 მილიონ ლარს მიიღებს, აქედან 5 მილიონი ლარი მონეტიზაციის პროგრამისთვისაა განკუთვნილი, 25 მილიონი კი – ჯანდაცვის ინფრასტრუქტურის ინვესტიციებისთვის.

ენერგოსექტორის დაფინანსება 164 მილიონი ლარით მიიმატებს.

2005 წლის ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებების პროექტს ხვალ უკვე პარლამენტს წარუდგენენ.

ზურაბ ნოღაიდელმა სავალუტო ფონდის ვიზიტის შედეგებშეც ისაუბრა. განხილვები ორი კვირის განმავლობაში გრძელდებოდა, შესაბამისად, სავალუტო ფონდს წარუდგინეს საქართველოს მთავრობის წინადადებები, პროგრამა, აგრეთვე ცვლილებები ბიუჯეტში. ვინაიდან სავალუტო ფონდის მისიის შეფასება არ დამთავრებულა, თანხების მიღება არ მოხდება. „ეს ჩვენ პრობლემას არ გვიქმნის, ვინაიდან ჩვენი საკუთარი, მათ შორის, სავალუტო შემოსაველები ბევრად მაღალია, ვიდრე საერთაშორისო სავალუტო ფონდის სესხი“, – თქვა პრემიერ-მინისტრმა.

მან ისაუბრა, აგრეთვე, მთავრობის სხდომაზე განხილულ პრივატიზაციის შემდგომ ეტაპზე. მზადდება რუსთავის მეტალურგიული ქარხნის, „აზოტის“, თბილისის ვაგონშემკეთებელი ქარხნის, ბათუმის ინფრასტრუქტურის პრივატიზაცია. ინვესტორთა ვინაობა ჯერჯერობით უცნობია, თუმცა პრემიერის თქმით, პრივატიზაციის პროცესები გამჭვირვალე იქნება და ინვესტორებს ინტერესის გამოხატვის, ანუ მთავრობისათვის კონკრეტული წინადადებებით მიმართვის საშუალება თვენახევრის განმავლობაში ექნებათ. „მაისის დასაწყისში უკვე საბოლოო გადაწყვეტილებებს მივიღებთ პრივატიზაციის შედეგებზე“, – თქვა პრემიერ-მინისტრმა. რაც შეეხება უკვე პრივატიზებულ ობიექტებს „საქართველოს სანაოსნოსა“ და „ჭიათურმანგანუმს“, ამ საწარმოების ინვესტორებთან – „არმსტრონგ ჰოლდინგთან“ და „ევრაზ ჰოლდინგთან“ ხელშეკრულებები გაფორმდება.

მომავალი კვირიდან, მთავრობის მოქმედებათა გეგმის განხილვა დაიწყება. ამ პროცესისთვის მზად არიან: თავდაცვის, შინაგან საქმეთა, იუსტიციის, განათლების და ჯანდაცვის სამინისტროები.

თამარ შაიშმელაშვილი.

◎ ინფორმაცია

პრემიერ-მინისტრს იმედი აქვს

საქართველოს პრემიერ-მინისტრს ზურაბ ნოღაიდელს იმედი აქვს, რომ საქართველოდან რუსეთის ჯარების გაყვანა მოლაპარაკებების შედეგად მოხდება.

„მხარეებს აქვთ დაახლოებით ორთვიანი ვადა იმისთვის, რომ აღნიშნული საკითხი დიპლომატიური ხერხებით, მოლაპარაკების გზით მოგვარდეს“, – განაცხადა გუშინ პრემიერმა პარლამენტის პლენარული სხდომის დღის წესრიგში საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანასთან დაკავშირებული სპეციალური დადგენილების საკითხის ჩასმის კომენტირებისას.

რაც შეეხება ზოგიერთი რუსი დეპუტატის, კერძოდ, ვლადიმერ ჟირინოვსკის განცხადებებს, რომელთა თანახმად, თუ საქართველო რუსული ბაზების გაყვანას მოითხოვს, რუსეთმა საქართველოს ენერგომატარებლებზე ტარიფი უნდა გაუძვიროს, ნოღაიდელის შეფასებით, „ჟირინოვსკი არაა ის პიროვნება, რომელიც განსაზღვრავს, როგორი უნდა იყოს ფასი საქართველოსთვის მოწოდებული ელექტროენერგიის ან სხვა ენერგომატარებლების“.

საქართველოს ელექტრომომარაგება კვლავ შეზღუდვით ხორციელდება

ჰიდროელექტროსადგურებში არსებული წყლის მცირე რესურსის გამო საქართველოს ელექტრომომარაგება კვლავ შეზღუდვით ხორციელდება. დედაქალაქს სრული ელექტრომომარაგებისთვის 30 მეგავატი სიმძლავრე აკლია, ამის გამო, თბილისში 2-3-საათიანი მცოცავი გრაფიკია დაწესებული.

გუშინ რამდენიმე წუთით შეწყდა სომხეთიდან ელექტროენერგიის იმპორტიც. ძლიერი ქარის გამო, 220-კილოვოლტიანი მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზის „ალავერდის“ პარამეტრები დაირღვა, რამაც ხაზის დროებითი გამორთვა გამოიწვია. „ალავერდის“ გამორთვის გამო ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდა ვაკეს, მთაწმინდას, ვერასა და საბურთალოს ნაწილს.

ინტერ-პრესი.

◎ კანონმდებლები

რა უნდა მოინელოს რუსეთის დუმამ?

(პირველი გვერდიდან)

როგორც თავიდანვე აღვნიშნე, სავარაუდო „ეგზეკუციის“ შიშით ზოგი ლექტატი საჭიროდ არ თელიდა დადგენილების მიღებას. რუსპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე დავით ბერძენიშვილი მათს უკანდახევას ასე ხსნის:

– განცხადების ინიციატორებს ეუბნებიან, მოიცადეთო, რაც არასწორია. მთელ მსოფლიოში ასე ხდება – პარლამენტი უფრო მკვეთრია ხოლმე, ვიდრე აღმასრულებელი ხელისუფლება. ეს დადგენილება აუცილებლად არის მისაღები. რაც უფრო მკვეთრი და მკაცრი იქნება საქართველოს ხელისუფლების პოზიცია, მით უკეთესი.

დადგენილების ერთ-ერთი ინიციატორი გიგა ბოკერია არ ეთანხმება მოსაზრებას, მიცემული ვადა რუსეთს არ ეყოფა ბაზების გასაყვანადო:

– საქართველოს დასაპყრობად წითელ არმიას გაცილებით ნაკლები დრო დასჭირდა.

ამდენად, გიგა ბოკერიას აზრით, რუსეთს საკმაოზე მეტი დრო აქვს ბაზების გასაყვანად. შეგახსენებთ, რომ მოლაპარაკების პროცესი მიმდინარეობს. საამისოდ დიპლომატებს 15 მაისამდე აქვთ ვადა. ბაზები კი რუსეთმა 2006 წლის 1 იანვრამდე უნდა გაიყვანოს.

ბოკერიას შემდეგ გაბაშვილმაც გაიხსენა წარსული, რადგან გუშინ 9 მარტი იყო:

– დღეს 45 წელი შესრულდა ქართველების დახვრეტიდან. 1956 წლის 9 მარტი იყო დღე, როდესაც ქართველებმა, საბჭოთა კავშირში პირველებმა განაცხადეს, რომ დამოუკიდებლობა სურდათ. თუ დღეს ჩვენ მათ ასე ადამიანურად არ შევეხმიანებით, საკუთარ თავთან არ ვიქნებით მართალი. საქართველოს ტერიტორიიდან უნდა გავიდეს დარჩენილი ნაწილები იმ ჯარისა, რომელმაც 1956 წლის 9 მარტის, შემდეგ 1989 წლის 9 აპრილის სისხლისღვრა მოაწყო და რომელთანაც ჩვენი ორი ტერიტორიის დაკარგვაა დაკავშირებული.

კონსერვატორების ლიდერმა კობა დავითაშვილმა დადგენილებაში ერთი დამატების შეტანა ჩათვალა საჭიროდ – სამხედრო ბაზებთან ერთად სამშვიდობო ძალების გაყვანაც მოვითხოვოთ, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ კონფლიქტშიო.

– სამხედრო ბაზებთან, ანუ უმოქმედო ტანკებთან და ქვემეხებთან ერთად მოქმედი ტანკები და ქვემეხებიც არ უნდა დავივიწყოთ, რომლებითაც ჩვენს მოსახლეობას ესვრიან.

ეს წინადადება მხოლოდ „მემარჯვენე ოპოზიციის“ ლიდერმა დავით გამყრელიძემ მოიწონა.

– ბაზებთან ერთად ქვეყნის დამოუკიდებლობას, უსაფრთხოებას სამშვიდობო ძალებიც უქმნიან პრობლემას. ამიგომ კობა დავითაშვილის წინადადება სწორი და გასათვალისწინებელია.

დადგენილებაში ეს დამატება არ შესულა, რადგან საპარლამენტო უმრავლესობის წევრებმა ამ ეტაპზე არ ცნეს საჭიროდ საკითხის გარეთულება. თუმცა, ითქვა, რომ შემდეგისთვის ამაზეც იმსჯელებენ. კონსერვატორები თავიანთი ინიციატივის ალტერნატივის სახით დაყენებას აპირებენ.

რუსუდან გახარია.

◎ ინფორმაცია

ლომაია მთელ პასუხისმგებლობას უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას აკისრებს

საქართველოს განათლების მინისტრი კახა ლომაია სამედიცინო უნივერსიტეტის კოლეჯთან დაკავშირებით შექმნილ ვითარებაში მთელ პასუხისმგებლობას უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას აკისრებს და კატეგორიულად უარყოფს მოსაზრებას ხელისუფლების მიერ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის პოლიტიკური დევნის თაობაზე.

ლომაიას განმარტებით, „მანკიერი სისტემიდან ერთადერთი გამოსავალი ყველა აბიტურიენტის თანაბარ პირობებში ჩაყენებაა, რაზეც ხელისუფლება უარს ვერ იტყვის“. „საქართველომი დღეს სახელმწიფო სასწავლებლებთან არსებული სამი სამედიცინო კოლეჯი ფუნქციონირებს, რომელთა დამამთავრებელ კურსებზე 7 500-ზე მეტი მოსწავლე სწავლობს და მათი ავტომატურად ჩარიცხვა უმაღლეს სასწავლებლებში არანაირად არ შეუწყობს ხელს იმ პრინციპის გაგარებას, რომლითაც ხელისუფლება ხელმძღვანელობდა „უმაღლესი განათლების შესახებ“, და „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაგარების შესახებ“ კანონების მიღებისას“, – აღნიშნა განათლების მინისგრმა.

ლომაიას შეფასებით, სახელმწიფო სამედიცინო კოლეჯში არსებული ვითარება „ერთგვარი კურიოზიცაა“, ვინაიდან მასში არსებული სისტემა „კანონისა და კონსტიტუციის გვერდის აცლით მოსწავლეთა განსაკუთრებულ პირობებში ჩაყენებას, მიღებასა და ჩარიცხვას ითვალისწინებდა“. მისივე თქმით, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ „ბოროტად გამოიყენა უფლებამოსილება და მოსწავლეთა მშობლებთან არასწორად გააფორმა ხელშეკრულებები, რომელთა ძალით კოლეჯის სტუდენტები გამოცდების ჩაბარების გარეშე ხვდებოდნენ უმაღლეს სასწავლებელში“.

„მე პასუხს ვაგებ ჩემს სფეროს დაქვემდებარებული სახელმწიფო უწყებების საქმიანობაზე, მაგრამ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ ბოროტად გამოიყენა უფლებამოსილება და ამიტომ მისი საქმიანობა პროკურატურამ უნდა შეისწავლოს“, – განაცხადა მინისტრმა.

ამასთან, მან კატეგორიულად უარყო მტკიცება, თითქოს ხორციელდება უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის პოლიტიკური დევნა.

აკაკი ბობოხიძე განათლების მინისტრს ადანაშაულებს

დეპუტატი აკაკი ბობოხიძე განათლების მინისტრს ალექსანდრე ლომაიას განათლების სისტემაში რეფორმების გატარებისას უხერხულ მდგომარეობაში ჩაყენებაში ადანაშაულებს.

„მიუხედავად იმისა, რომ რეფორმები თავდაცვის, ჯანდაცვის და შინაგან საქმეთა სამინისტროშიც გატარდა, ხელისუფლებას ამით იმდენი უხერხულობა არ შეჰქმნია, როგორც განათლების სისტემაში რეფორმების გატარებისას. განათლების მინისტრმა თავის დროზე უყურადღებოდ დატოვა საქართველოში არსებულ კოლეჯებთან დაკავშირებული პრობლემები და „ერთიანი ეროვნული გამოცდების შესახებ“ მიღებულმა კანონმა უხერხულობა გამოიწვია“, – განაცხადა ბობოხიძემ დღეს პარლამენტში მიმდინარე პლენარულ სხდომაზე.

ბობოხიძის თქმით, მას ეჭვი არ ეპარება, რომ ალექსანდრე ლომაია ხელისუფლების კურსს იზიარებს და მისი მოქმედება რეფორმებზეა ორიენგირებული, მაგრამ მისი აზრით, განათლების მინისგრს შეეძლო, თავიდან აეცილებინა პრეზიდენტისთვის ის უხერხულობა, რომელიც სტუდენგთა მიერ პარლამენგის წინ გამართულ აქციებს მოჰყვა.

„საკაკშვილის ხელისუფლება შევარდნაძის ხელისუფლებისგან სწორედ იმით განსხვავდება, რომ მან პასუხისმგებლობა აიღო ქვეყანაში რეფორმების გატარებაზე, ეს კი თავისთავად გულისხმობს იმ ბავშვებზე პასუხისმგებლობას, რომლებიც ახლა პარლამენგის შენობის წინ საპროტესტო აქციას აგარებენ“, – აღნიშნა დეპუტატმა.

ინტერ-პრესი.

◎ სიტუაცია

ფემცივნული ბავშვების ჯიუტი მოთხოვნა და ხარვეზზე დაფიქრებული პარლამენტი

(პირველი გვერდიდან)

ქალაბაგონი გუგულის თქმით, ასეთ შემთხვევაში კოლეჯის სტუდენტები კონკურსებიას არ გაუწევენ მათ, რომლებიც პირველ კურსზე უნდა ჩაირიცხონ.

დეპუტატი **დავით ზურაბიშვილი** ამ მოსაზრებას არ იზიარებს.

– სტუდენტები არ არიან დამნაშავეები იმაში, რომ ასეთი, საკმაოდ საეჭვო სამართლებრივ საფუძველზე შექმნილი კოლეჯები არსებობდა. ჩვენ ავიღეთ პასუხისმგებლობა ბევრ რამეზე, რაც მემკვიდრეობით გადმოგვეცა წინა ხელისუფლებისგან. ვერც ამ პრობლემას გავექცევით. შარშან, როცა კოლეჯის პირველ კურსზე მიიღეს მოსწავლეები, განათლების სამინისგროს უნდა სცოდნოდა, რა გიპისაა კოლეჯები, რაგომ და როგორ იღებენ სტუდენგებს, რა შეიძლება მოჰყვეს ამას და ა. შ. თუ ეს ვერ გაითვალისწინეს, მათი მინუსაა. ჩვენ, პარლამენგარებმაც დავუშვათ შეცდომა – როცა კანონს ვიღებდით, ეს მომენგი უკეთ უნდა გაგვეთვალისწინებინა და მკაფიოდ ჩამოგვეყალიბებინა გარდამავალ დებულებებში. ამდენად, მე, პირადად, ვერძნობ, რომ ამ საკითხში გარკვეული პასუხისმგებლობა სახელმწიფოსაც ეკისრება. ის თანხა, რომელსაც კოლეჯის სტუდენტები იხდიდნენ, მხოლოდ გარკვეულ პირთა ჯიბეში კი არ მიდიოდა, არამედ – ბიუჯეტშიც, ანუ სახელმწიფოსაც ხმარდებოდა.

განათლების სამინისგროს მკვეთრ პოზიციას ბაგონი დავითი ასე ხსნის – აღმასრულებელმა ხელისუფლებამ კანონი უნდა აღასრულოსო. თუმცა, მას არც კანონმდებელთა შესაძლებლობები ავიწყდება.

– კანონი არ არის ღვთის ნება, არ არის „ყურანი“, რომელიც ალაჰმა მეცდან უკარნახა მუჰამედს. ის რეალობას უნდა ასახავდეს და სამართლიანი უნდა იყოს. ჩვენი ხარვეზის გამო თუ ვინმე დაიჩაგრა, გამოსწორება უნდა ეცადოთ, კანონში შესწორება უნდა შევიგანოთ.

დავით ზურაბიშვილის აზრით, შექმნილი მდგომარეობიდან საუკეთესო გამოსავალი შუალედური გადაწყვეტილების მიღებაა. მას განათლების კომიგეგის თავმჯდომარის, ნოდარ გრიგალაშვილის წინადადება მოსწონს:

– კოლეჯის ფასიანი სექგორის სგუდენგები, რომლებსაც სწავლის გაგრძელება უნივერსიგეგის ფასიან სექგორზე სურთ, ხელშეკრულების საფუძველზე ჩაირიცხონ. ხოლო ისინი, რომლებსაც სახელმწიფო დაფინანსების მოპოვება სურთ, გამოცდაზე გავიდნენ.

ზურაბიშვილის თქმით, ეს ის კომპრომისული გადაწყვეგილება იქნებოდა, რომელიც სიგუაციას განმუხგავდა.

კონსერვაგორები დავით ზურაბიშვილისგან განსხვავებულ წინადადებას აყენებენ. **კობა დავითაშვილის** თქმით, სწორედ მათი საკანონმდებლო ინიციაგივაა გართულებული სიგუაციიდან მარგივი გამოსავალი:

– თავის დროზე განათლების კომიგეგს და, ზოგადად, პარლამენგს გამორჩა, რომ არსებობს ასეთი ფორმა – კოლეჯიდან უნივერსიგეგში უგამოცდლო ჩარიცხვა. ამდენად კანონში ეს არ არის გათვალისწინებული, ამის გამო კი სგუდენგთა ინგერესები ზარალდება. ჩვენ შევიგანეთ საკანონმდებლო ინიციაგივა – გარდამავალ დებულებაში შევიღეს ცვლილება, რომლის თანახმადაც, კოლეჯის დღევანდელი სგუდენგები ხელშეკრულების საფუძველზე, ანუ შიდა გამოცდებით ჩარიცხებიან უნივერსიგეგში. იმაზე კი არ ვიდავოთ, კანონი რას გულისხმობს, არამედ კანონში შესაბამისი ცვლილების შეგანით გადავწყვიგოთ პრობლემა.

ვერ გეგყვით, პარლამენგი რომელ წინადადებას დაუჭერს მხარს, მაგრამ ის კი ცხადია, რომ აქციის მონაწილეებს კონსერვაგორების ინიციაგივა უფრო მოეწონებათ.

რუსიკო მუხურელი.

◎ ინფორმაცია

ახალი საკანონმდებლო ინიციატივა

„პროსპერიტეტული პარტია“ პარლამენტში ახალი საკანონმდებლო ინიციატივით შედის. პარტიის წარმომადგენლებმა კობა დავითაშვილმა და კახა კუკავამ გუშინ „თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“ კანონპროექტში ცვლილებებისა და დამატებების პრეზენტაცია გამართეს.

როგორც გუშინდელ პრეზენტაციაზე კახა კუკავამ აღნიშნა, „კონსერვატორების“ საკანონმდებლო ინიციატივა ძირეულად განსხვავდება საპარლამენტო უმრავლესობის მიერ მომზადებული კანონპროექტისგან, რომელიც „თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ შესახებ კანონში“ ცვლილებების შეტანას ითვალისწინებს.

კუკავას განცხადებით, უმრავლესობის კანონპროექტით მერები და გამგებლები საკრებულოებმა უნდა აირჩიონს, „კონსერვატორების“ მიერ მომზადებული პროექტის მიხედვით კი კანდიდატებმა ეს თანამდებობები პირდაპირი არჩევნების გზით უნდა დაიკავონ.

„პირდაპირი გზით არჩეული მერიც და გამგებელიც ხელს შეუწყობენ ქვეყანაში დამოუკიდებელი თვითმმართველობის ჩამოყალიბებას, რადგანაც ისინი ხელისუფლების გავლენისგან რეალურად დამოუკიდებლები იქნებიან“, – მიაჩნია პარლამენტარს.

თვითანარეგული რესაუბლიკები თანამშრომლობის გაღრმავებას გეგმავენ

სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკების პარლამენტები თანამშრომლობის გაღრმავებას გეგმავენ.

ამის შესახებ გუშინ ცხინვალში ე.წ. სამხრეთ ოსეთის პარლამენტის ვიცე-სპიკერმა, კანონიერებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის კომიგეგის თავმჯდომარემ გარზან კოკოითმა განაცხადა.

ამჯერად გადარჩა

განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელი ნაგა მაჩალაძე თბილისს საკრებულოს მხრიდან უნდობლობის გამოცხადებას ამჯერად გადაურჩა. საკრებულოს ჯანდაცვის, სოციალურ საკითხთა, კულტურის, განათლებისა და სპორგის კომისიის სხდომის დაწყებამდე საათნახევრით ადრე მაჩალაძემ ახლადრეორგანიზებული სამსახურის სგრუქტურული დებულებისა და მიზნობრივი პროგრამების წარმოდგენა მოასწრო.

თუმცა სხდომის მონაწილე დეპუტატებს მაჩალაძის მისამართით კრიგიკული და მკაცრი განცხადებების გაკეთებისგან თავი მაინც არ შეუკავებიათ.

საკრებულოში გუშინ კიდევ ერთხელ ითქვა, რომ კულგურისა და განათლების სამსახურების შეერთებამ არ გაამართლა და აღნიშნული საკითხი საკმაოდ მოუმზადებლად და სპონგანურად გადაწყდა.

საკრებულოში აცხადებენ, რომ სამსახურის სგრუქტურისა და პროგრამების გაწერას ასეთი ხანგრძლივი პერიოდი არ სჭირდებოდა. ამასთან, როგორც განათლების სფეროს კურაგორი გიორგი მურღულია ამგაკიცებს, წარმოდგენილ პროგრამებში პრიორიგეგები სწორად არ არის განსაზღვრული და წმინდა საგანმანათლებლო და კულგურული საკითხების ნაცვლად, იგი ძირითადად არაარსებით საკითხებზეა ორიენგირებული.

საკრებულოს უმრავლესობის წევრები წარმოდგენილი პროგრამების დეგალურ გაცნობასა და მათზე კონკრეგული შენიშვნების გამოთქმას მიმდინარე კვირის განმავლობაში გეგმავენ. ამასთანავე ისინი თბილისის მთავრობას კულგურისა და განათლების სამსახურების გამოჯვნის წინადადებით მიმართავენ.

ინტერ-პრესი.

◎ სატკივარი

ილია მეორე: „გაიმარჯვებენ მხოლოდ ღვთისმოშიშნი, გონიერნი, მონდომებულნი და ნებისყოფიანნი“

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ინიციგივით, საქველმოქმედო ფონდი „სულიერების, მეცნიერების და კულგურის აღორძინება და განვითარება“ პაგრიარქმა საზოგადოებას წმინდა მეფის, დავით აღმაშენებლის ხსენების დღესთან დაკავშირებული წირვის დასრულების შემდეგ (8 თებერვალს) წარუდგინა. მაშინ ფონდის წევრები არაერთი საინგერესო პროექგის განხორციელებას დაგეგპირდნენ და ერთი თვის თავზე შეასრულეს კიდეც.

უკვე ცნობილია, რომ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ფონდის შექმნის მიზანი სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისათვის ხელშეწყობა და ქვეყანაში არსებული პრობლემების დაძლევაა. მტკივნეული და მნიშვნელოვანი თემები ჩვენს დღევანდელობაში მრავლადაა, მაგრამ ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული საფრთხე, რომელიც ჩვენს საზოგადოებას ემუქრება და რომელმაც მოსახლეობის თითქმის ყველა ფენა მოიცვა, ნარკომანიაა. სწორედ ამიტომ ფონდის სახელით პირველი განაცხადი ამასთან დაკავშირებით გაკეთდა. საპატრიარქოში გამართული შეხვედრა, რომელსაც სასულიერო პირები და საზოგადო მოღვაწეები ესწრებოდნენ, კათოლიკოს-პაგრიარქმა **ილია მეორემ** გახსნა: – ნარკომანია დღეს მთელი მსოფლიოს სენია, მაგრამ ჩვენ მცირერიცხოვანი ერი ვართ და ამ დაავადების მოძალება განსაკუთრებით დაგვეგყო. დასანანია, რომ არაერთი ნიჭიერი ახალგაზრდა დაავადდა ამ სენით, მაგრამ საბედნიეროდ, იგი იკურნება, მრავალი მაგალითია იმისა, როდესაც ეკლესიაში მოსულ ადამიანს ნარკოგიკი საბოლოოდ მიუგოვებია.

ერთი რამ ცხადია, არავითარი იმუნგება, არავითარი შეგავლენა შედეგს არ მოიგანს. ნებისმიერმა ადამიანმა თვითონ უნდა მოინდომოს განკურნება. თვითონ უნდა გააცნობიეროს, თუ რა საფრთხეს უქმნის იგი საკუთარ თავს, მშობლებს, შთამომავლობას და როგორც პაგრიარქმა აღნიშნა, „გაიმარჯვებენ მხოლოდ ღვთისმოშიშნი, გონიერნი, მონდომებულნი და ნებისყოფიანნი“.

პრეზიდენტმა ცალკე მიმართულებადაა ჩადებული მოზარდებთან მუშაობა. როგორც ფსიქოლოგმა **შოთა ნადირაშვილმა** აღნიშნა: – ბავშვებს, რომლებსაც ჯერ არა აქვთ ნათელი წარმოდგენა ნარკომანიის შესახებ, უპირველესად, უნდა გავაცნოთ ამ სენის უარყოფითი შედეგები და ამას შემდეგ გამოვუძებნოთ მის მიმართ ნეგაგიური დამოკიდებულება, რადგან ბავშვის ფსიქოლოგიიდან ცნობილია, რომ ყოველი უარყოფითი ღირებულების მიმართ ინგერესი და ახლოს მისვლის სურვილი უჩნდება, ნარკომანია კი ისეთი საშინელი და ამავე დროს მიმზიდველი მოვლენაა, რომ თუ ჩაითრევს ადამიანს, მერე ძნელად რომ კლანჭებიდან ვინმემ თავი დააღწიოს. ამიტომ ბრძოლა ნარკომანიის წინააღმდეგ ძალიან სერიოზულ მიდგომას მოითხოვს.

სწორედ ამიტომ ფონდის მთავარი საბჭო სხვადასხვა პროფესიის, რადიკალურად მოაზროვნე 13 ადამიანისგან დაკომპლექგდა: დარგის სპეციალისგი გელა ლეჟავა, ფსიქოლოგი შოთა ნაღირაშვილი, მხაგვარი რუსუდან ფეგვიაშვილი, უნივერსიგეგის რექგორი რუსუდან ლორთქიფანიძე, მწერალი გურამ დოჩანაშვილი, კომპოზიგორი ბიძინა კვირნაძე, მუსიკოსი ანზორ ერქომაიშვილი, მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენგი თამაზ გამყრელიძე, მოჭადრაკე ნონა გაფრინდაშვილი, რეჟისორი ბასა ფოცხიშვილი, ტელეჟურნალისგი გიორგი თარგამაძე, საბჭოს აღმასრულებელი მდივანი, სასულიერო აკადემიის პრორექგორი მამა გიორგი (ზვიადაძე). ეს ადამიანები თვეში ერთხელ შეიკრიბებიან, იმსჯელებენ განხორციელებულ სამუშაოებზე და სამომავლო გეგმებს დასახავენ.

შეხვედრაზე პაგრიარქმა ნარკოგიკებით მოვაჭრეებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ისინი ძალიან დიდ ცოდვას სჩადიან, რადგან ხელს უწყობენ ადამიანთა სულიერ და ფიზიკურ გადაგვარებას. პაგრიარქმა თითოეულ მათგანს საქმიანობის გაცნობიერებისკენ, ღვთისადმი სიყვარულისა და ეკლესიაში მობრუნებისკენ მოუწოდა.

ამ წამოწყებისადმი საკუთარი აზრი საზოგადო მოღვაწეებმაც გამოთქვეს. **ანზორ ერქომაიშვილი:** – დღეს ერს სულიერი სიძლიერე სჭირდება. ახალგაზრდობა ჩვენი გენოფონდია, მომავალი საქართველოა, სამწუხაროდ, სწორედ ეს თაობაა ამ სენით შეპყრობილი, მათი გადარჩენა კი მთელი საზოგადოების ვალია.

თამაზ გამყრელიძე: – ნარკომანია სულს დაავადებაა და სავსებით ბუნებრივია, რომ სულიერების აღორძინების და განვითარების ფონდი სწორედ ამ პროექგით იწყებს თავის შესანიშნავ საქმიანობას, დაეხმაროს ნარკომანიით დაავადებულებს და ებრძოლოს ნარკოგიკების გამავრცელებლებს. ამ ფონდის სახელით მომავალშიც ბევრ საინგერესო წამოწყებას ველით.

პაგრიარქმა აღნიშნა, რომ პროექგის განსახორციელებლად აუცილებელია ნარკომანიის საწინააღმდეგო აქგიური პროპაგანდა და საზოგადოების სათანადო განწყობის შემუშავება, პირველ ეგაპზე კი მასმედიის საშუალებით ამ თემაზე გაკეთდება საინფორმაციო-საგანმანათლებლო სიუჟეგები, სარეკლამო ვიდეორგოლები, რაც ახალგაზრდებს ამ სენის შესახებ გარკვეულ ინფორმაციას მიაწვდის.

გიორგი თარგამაძე: – ტელევიზიებმა უპირველესად იმაზე უნდა ვიფიქროთ, რა არ გავაფუჭოთ, რადგან ამ მიმართულებით ხშირად ბევრი რამ არასწორად კეთდება, კარგი იქნება, თუ უფრო თვითკრიგიკულები ვიქნებით საკუთარი ქმედების მიმართ. შეგნებულად არა, მაგრამ ირიბად ნარკომანიის პოპულარიზაცია ტელევიზიით მაინც იპარება. უწინარეს ყოვლისა, ამას უნდა მივხედოთ, შემდეგ კი ვიფიქროთ იმაზე, თუ რით შეგვიძლია შევეშველოთ საქართველოს ეკლესიას ამ მიზნის მიღწევაში.

პროექგის განხორციელება ფონდის შემოწორულობებით მოხდება. როგორც პაგრიარქმა განაცხადა, ფონდის წევრები დაუკავშირდებიან მსოფლიო ცენგრებს, რომლებსაც ამ მიმართულებით მუშაობის მეგი გამოცდილება აქვთ.

ლელა ხვადაგიანი.

◎ ხელისუფლება

თუ ვინმე ბორბალი გულით ჩამოვა, მაგის წამალიც ვიცით

ნომრის სტუმარია ბორჯომის რაიონის გამგეგელი ვანო გელაშვილი

ვანო გელაშვილი დაიბადა 1958 წელს, ბორჯომის რაიონის სოფელ ყვიბისში. აქვე 1975 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა, შემდეგ კი დ. ბილანიშვილის სახელობის თბილისის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი, 1976 წელს გახდა საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტის ავტომექანიკის ფაკულტეტის სტუდენტი, რომელიც 1981 წელს დაამთავრა ავტომენქანრის სპეციალობით.

მომდევნო წლებში ვანო გელაშვილი მუშაობდა ხაშურისა და ბორჯომის ავტოსატრანსპორტო გაერთიანებებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე.

2002 წელს წარმატებით იყარა კენჭი ადგილობრივ არჩევნებში ყვიბისის თემში, მუშაობდა ამ საკრებულოს მდივნად, მოგვიანებით – თემის საკრებულოს თავმჯდომარედ.

2003 წლის დეკემბერში, „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ, მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით, ვანო გელაშვილი დაინიშნა ბორჯომის რაიონის გამგებლად.

ჰყავს მეუღლე და ორი ვაჟი.

– ბატონო ვანო, მოდით, დიდი ხნის წინათ ბორჯომიდან პეტერბურგში გაგზავნილი ერთი წერილი წავიკითხოთ: „უკვე ორი კვირაა, რაც ბორჯომში ვარ. უნდა ვთქვა, რომ ეს ერთ-ერთი ულამაზესი ადგილია, რომელიც კი ოდესმე მინახავს. იცით, ზოგჯერ, ღმერთმანი, ადტაცების ცრემლიც კი მდის იმ სილამაზის ხილვით, რომელსაც აქ ყოველ ნაბიჯზე წააწყდებით... ბორჯომი, ჩემი აზრით, ერთი ყველაზე ლვთაებრივი და საუცხოო ადგილია მთელ მსოფლიოში“...

– გმადლობთ. თქვენ ახლა რუსი კომპოზიტორის პეტრე ჩაიკოვსკის მიერ თავისი ახლობლებისადმი გაგზავნილი წერილი წაიკითხეთ. იგი 1887 წლის ივნისში სამ კვირაზე მეტ ხანს ისვენებდა ბორჯომში და სხვათა შორის, ერეკლე მეორის შთამომავლების – გრუზინსკების სახლში ცხოვრობდა.

– პეტრე ჩაიკოვსკი დღეს რომ ჩამოსულიყო ბორჯომში, სად დასვენებდით?

– თქვენ იცით, ჩვენი ხეობის კურორტებმა გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული რამდენი ჭირი და ვაება გამოიარა. არ განვითარებულა ქვეყანაში რაიმე პოლიტიკური მოვლენა, ჩვენი რაიონის ეკონომიკურ და სოციალურ სფეროზე რომ არ ასახულიყო. საყოველთაო არეულობის წლებში ბორჯომის რაიონის კურორტებს – სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებს ათასობით ლტოლვილი მიაწყდა სამაბანალოდან და აფხაზეთიდან. ჩვენ მათ ფართოდ გავუღეთ კარი და ამ ობიექტებში მოვათავსეთ და დღემდე ვუვლით და ვპატრონობთ. ლტოლვილები ყველა სოციალურ პროგრამაში – ასეთი პროგრამები კი ბევრი გვაქვს – სრულად არიან გათვალისწინებული.

– ნებისმიერი პროგრამის სოციოსტლისუნარიანობა ბევრწილადაა დამოკიდებული საერთო ეკონომიკურ ფონზე – რა გორია რაიონის ბიუჯეტი, რა გორი გადამხდელები გყავთ?

– შარშან რაიონის ბიუჯეტის ფაქტობრივმა შესრულებამ 13.300 ათას ლარს გადააჭარბა. შემოსავლების მოცულობა 7777 ათასი ლარით გაიზარდა. ამ თანხებით გამგეობამ, პირველ რიგში, მოსახლეობის სოციალური დაცვის ღონისძიებები განახორციელა. უპრეცედენტო მიმართნაი ის ფაქტი, რომ მარტო სოციალური უზრუნველყოფის ხაზით 1400 ათასი ლარი გავეცით, ორჯერ მეტი, წინა წელთან 20 ლარს, ხოლო ობლები 16 წლამდე, ასევე თვეში 20 ლარს ღებულობენ.

საქართველოში შემაშფოთებელი დემოგრაფიული მდგომარეობიდან გამომდინარე, მრავალშვილიანი ოჯახების წახალისების მიზნით რაიონის გამგეობა ყოველი ბავშვის დაბადებაზე 100 ლარით, ხოლო ყოველ მეოთხე ბავშვზე ოჯახს 500 ლარით აჯილდოებს.

პაგავში გვყავს დღეგრძელი ადამიანებიც. 100 წელს გადაცილებულ ყველა მოხუცს რაიონში – სულ ხუთი ადამიანი გვყავს ასეთი – თვეში იმდენ ლარს ვაძლევთ, რამდენი წლისაცაა. მაგალითად, 101 წლის ყვიბისელი მარიამ ხიჯაკაძე თვეში 101 ლარს იღებს, ტაძრისელი ნინო ჩუტკერაშელი კი – 116 ლარს, ანუ იგი 116 წლისაა.

ბებიები და ბაბუები საქართველოში ოდითგანვე სიყვარულითა და პატივისცემით იყვნენ გარემოსილი, ახლა ხომ – მით უმეტეს. დღეგრძელ მოხუცებს ოჯახებში, რომ იტყვიან, რელიგიური მოწიწებით დაპკანკალებენ თავს, ცივ ნიავს არ აკარებენ.

– სოციალურ სფეროში დახმარების სახით გახარჯულ ამ „მსუყე“ ციფრებს რომ აყალერებთ, არ გეშინიათ – იცით, რომ ქვეყანაში ადამიანები ჯერ კიდევ ძმიმე პირობებში ცხოვრობენ – იმ გაჭირვებულმა ხალხმა ერთბაშად იხუელოს და ბორჯომის ხეობას, როგორც ზღაპრულ ელდორადოს, მოაწყდეს?

– არა, ამის შიში არ გვაქვს, რადგან მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ქვეყანაში ნელა, მაგრამ თანდათანობით უმჯობესდება. ახლა არაკეთილმოსურნეებიც კი ხედავენ, რამდენი რამ შეცვალა უკეთესობისკენ „ვარდების რევოლუციამ“. 90-იანი წლების შემდეგ კალატოზი ხარაჩოზე აღარ შემდგარა და დურგალს შალაშინი არ სჭერია ხელში, ღღეს კი ვაშენებთ კიდეც.

იხ. მე-4 გვ.

◎ სოციუმი

პენსიები გაზრდილია, დავალიანებები გასტუმრებული, ქამრები კი მაინც მოჭერილი

იმერეთში როცა რაიმეს გაბაიბრუება უნდათ, ერთ ქართულ ანდაზას ასე მოიშველიებენ: „ჯერ მითხარი ჭინჭველაო, მერე მისი თორკმელაო“. რაგომღაც მეც ეს ნათქვამი მომადგებოდა ხოლმე ენის წვერზე, როცა თოთხმეტლარიანი პენსიის ქრონიკული დაგვიანებისა თუ დავალიანებათა გამო აღშფოთებულ ხალხს ვუსმენდი. რა ხმა ამოეღებოდა იმ ხელისუფლებას, როცა ადამიანი მთელი თავისი ნამსახურობით თოთხმეტ კი არა, ბევრად მეტ პენსიას იმსახურებდა, დროულად კი მინიმალურსაც ვერ აძლევდა. თუმცა რა მიეცა, რაც არ ჰქონდა? ან კი საიდან უნდა ჰქონოდა, როცა სახელმწიფო ბიუჯეტს დიდი თუ პატარა ჩინოვნიკი ერთიანად ყვლეფდა, გამკითხავი კი არა და არ ჩანდა. ამიგომაც პენსიების დარიგების დაგვიანების თემა მუდმივი პოლიტიკური და სოციალური დაძაბულობის მიზეზი იყო. ღღეს ეს პრობლემა საბოლოოდ მოხსნილია. ფაქტობრივად, საპენსიო ხარჯების თვალსაზრისით 2004 წელი შეიძლება, შემობრუნების წლადაც მივიჩნიოთ.

საპენსიო ხარჯები, რომელიც სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა, ღღეს ქვეყნისთვის პრობლემური აღარ არის. შარშან ფონდის მიერ სახაზინო ანგარიშიდან გადარიცხული თანხების მოცულობამ 803748 ათასი ლარი შეადგინა, რაც 2003 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 67,5 პროცენტით, ანუ 118368 ათასი ლარით მეტია. სწორედ შარშან ამ მიმართულებით შემუშავდა სგაბილური დაფინანსების გრაფიკი და ყოველი მიმდინარე თვის საპენსიო თანხის დაფინანსება ფონდის მიერ იმავე თვის 15 რიცხვიდან იწყებოდა და იმავე თვის 20-25 რიცხვად სრულდებოდა. ხოლო მომსახურე კომერციული ბანკებისა და ფოსტის განყოფილებების მიერ პენსიონერებზე საპენსიო თანხების გაცემა იწყებოდა 20 რიცხვიდან და ძირითადი თანხის გაცემა იმავე თვის ბოლომდე სრულდებოდა. როგორც ამ ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე (საფინანსო დარგში) კრბა ძაძამია ამბობს: პენსიების გაცემის ეს გრაფიკი უკვე სტაბილურია და მომავალშიც ასე გაგრძელდება.

2004 წლის აგვისტოდან ფონდმა საპენსიო სიების დასაზუსტებლად პენსიონერთა საყოველთაო რეგისტრაცია დაიწყო. ერთი სიტყვით, მოწესრიგდა აღრიცხვიანობა, რომლის შედეგად ოცდახუთი ათასი პენსიონერი მოიხსნა აღრიცხვიდან, რადგან ისინი რეგისტრაციის გასავლელად არ გამოცხადებულან. ან როგორ გამოცხადებოდნენ, როცა ზოგი გარდაცვლილი აღმოჩნდა და ზოგიც საზღვარგარეთ წასული. რა თქმა უნდა, შესაბამისად შეწყდა მათზე პენსიების გაცემაც, რაც საბოლოო ანგარიშით ნახევარი მილიონი ლარის დანაზოგი მაინც არის.

მთლიანობაში, 2004 წელს ფონდის მიერ სრულად დაიფარა ამავე წლის მიმდინარე პენსიები. მათ შორის, ძალიანი სტრუქტურების რეგრესული და სხვა დანარჩენი.

და მაინც, 2004 წლის მიმდინარე საპენსიო ხარჯების სრულად დაფარვისას მნიშვნელოვანი სახსრები მაინც წინა პერიოდის საპენსიო დავალიანებების დასაფარად მიიმართა. ანუ 2004 წლის განმავლობაში პენსიონერთა მიმართ არსებული საპენსიო დავალიანებებიდან დაიფარა 87989 ათასი ლარი, ამ მხრივ დიდი როლი შეასრულა „პენსიონერების მიმართ ბოლო წლებში დაგროვებულ საპენსიო დავალიანებათა ეტაპობრივი დაფარვისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის დამატებით ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 19 აპრილის დადგენილებამ. საქართველოს მთავრობის ამ დადგენილებით საპენსიო დავალიანებათა ეტაპობრივად დაფარვის მიზნით 2004 წლის აპრილდან არამომუშავე 14 ლარის მიმღებ პენსიონერებს დაუწესდათ 3 ლარის დანამატი, ხოლო მაისიდან – 4 ლარის ოდენობით. ასევე, მოსახლეობის სოციალური დაცვის დამატებით ღონისძიებათა განსახორციელებლად ამავე ოდენობის დანამატი დაუწესდათ ამ არამომუშავე 14 ლარის მიმღებ პენსიონერებს, რომელთა მიმართაც არ არსებობს საპენსიო დავალიანება, ასევე, „პენსიონერთა მიმართ ბოლო წლებში დაგროვებულ საპენსიო დავალიანებათა ეტაპობრივი დაფარვისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის დამატებით ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 25 ივნისის დადგენილებით 2004 წლის ივლისიდან იმ არამომუშავე 14 ლარის მიმღებ პენსიონერებს, რომლებსაც ჰქონდათ ერთი თვეზე მეტი საპენსიო დავალიანება, დავალიანებათა დაფარვის ანგარიშში დანამატი კიდევ 2 ლარით გაეზარდათ.

საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 26 აპრილის განკარგულების შესაბამისად, ასევე, გასტუმრებულია საპენსიო დავალიანების მნიშვნელოვანი ნაწილი. კერძოდ, ვია ჯოხთაბერიძისათვის ჩამორთმეული თანხიდან დაფარულია 2003 წლის ერთი თვის საპენსიო დავალიანება. აღნიშნული განკარგულების შესრულებისათვის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ანგარიშზე 16 მლნ. ლარის ოდენობის ტრანსფერი ჩაირიცხა. სწორედ ამ თანხით არის გასტუმრებული რეგრესული პენსიების 2003 წლის დეკემბრის დავალიანება, ძალოვანი სტრუქტურების პენსიების 2003 წლის ნოემბრის, ყოფილ პარლამენტართა 2003 წლის ივლისის და სხვა დანარჩენ პენსიონერთა საპენსიო დავალიანება. მათ შორის: თბილისსა და რუსთავში – 2003 წლის ნოემბრის, ქ. ფოთში – 2003 წლის დეკემბრის და სხვა რაიონებში – 2003 წლის სექტემბრის საპენსიო დავალიანება.

ასევე, „ცხინვალის, ჯავის, ყორნისისა და ახალგორის რაიონების მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 13 ივნისის განკარგულების, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2004 წლის 10 ივნისის და 2004 წლის 28 ივნისის ბრძანებების საფუძველზე სრულად დაიფარა დიდი და პატარა ლიახვის ხეობებში შემავალი სოფლების საპენსიო დავალიანებები, ქარელის რაიონის კონფლიქტის ზონის და ყოფილი ყორნისის რაიონის (თიღვის თემი) სოფლებში არსებული საპენსიო დავალიანებები. ამ ხაზით დაფარული საპენსიო დავალიანებების ოდენობამ 515 ათასი ლარი შეადგინა. ასევე, ამავე რეგიონში ხელისუფლების მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიაზე ოსურენოვანი მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფისათვის ფართომასშტაბიანი ღონისძიებები ჩაგარდა. ამ მიზნით 2004 წლის ივნისში 18-ლარიანი პენსია გაიცა გამარგიებული წესით 295 პენსიონერზე. ივლისში 220-ზე, აგვისტოში 227 პენსიონერზე, სექტემბერში – 279-ზე, ოქტომბერში 290-ზე, ნოემბერში 282-ზე, დეკემბერში კი 319 პენსიონერზე, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა ოსურ მოსახლეობაში საქართველოს ხელისუფლებისადმი ნდობა. საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი კონფლიქტის ზონაში არაკონტროლირებად ტერიტორიაზე კვლავაც აგრძელებს პენსიების დარიგებას.

ასევე, მნიშვნელოვანი საპენსიო დავალიანებები დაიფარა „საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის, სასამართლო გადაწყვეტილებებით დაკისრებული თანხების გასტუმრების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 2 იელისის განკარგულების შესაბამისად. კერძოდ:

სრულად დაიფარა 2004 წლამდე გარდაცვლილ პენსიონერთა წინა პერიოდის საპენსიო დავალიანება და 2004 წლის იანვარ-დეკემბერში გარდაცვლილ პენსიონერთა საპენსიო დავალიანება.

სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ხარჯმა შეადგინა – 4010,6 ათასი ლარი.

დაიფარა გარდაცვლილ რეგრესულ პენსიონერთა დავალიანების 50 პროცენტი, ასევე ძალოვანი სტრუქტურების პენსიონერთა 2003 წლის დეკემბრის დავალიანება.

– სრულად დაიფარა მესტიის რაიონის პენსიონერთა წინა პერიოდის საპენსიო დავალიანება, ცხინვალის რეგიონისა და კონფლიქტის ზონის მიმდებარე სოფლების პენსიონერთა წინა პერიოდის საპენსიო დავალიანება და ყველა კატეგორიის პენსიონერთა წინა პერიოდის სამი თვის საპენსიო დავალიანება.

– 2004 წლის ბოლოს დამატებით ერთი თვის საპენსიო დავალიანება დაიფარა იმერეთის რეგიონში, ხოლო დანარჩენ რეგიონებში შესაბამისი საპენსიო დავალიანება დაიფარა წლეულს იანვარში.

– სრულად დაიფარა მარჩენალგარდაცვლილთა წინა პერიოდის საპენსიო დავალიანება, ქვეყნის ფარგლებს გარეთ მუდმივად საცხოვრებლად გადასულ პენსიონერთა მიმართ არსებული დავალიანება და სხვა წინა პერიოდის საპენსიო დავალიანებები.

სერიოზული წინსვლაა, ვერაფერს იტყვი: პენსიები გაზრდილია, დავალიანებები გასტუმრებული, მაგრამ... ქამრები კვლავ მოჭერილი...

არა მხოლოდ საპენსიო ხარჯების წარმატებულად წარმართვის გამო მიიჩნევს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე კობა ძაძამია შარშანდელ წელიწადს შემობრუნების წლად, არამედ საფინანსო სამსახურებისა და ბუღალტერიის კომპიუტერიზაციის თვალსაზრისითაც. კერძოდ, საფინანსო აღრიცხვიანობის მოწესრიგების კუთხით ფონდში, რომლის ბიუჯეტი მთლიანი სახელმწიფო ბიუჯეტის თითქმის მესამედია, აქამდე ყველა დოკუმენტის აღრიცხვა და საქმეთა წარმოება ხდებოდა პრიმიტიულად, ხელით. ეს კი ინფორმაციის ავტომატურად დამუშავებისა და აღრიცხვის საშუალებას არ იძლეოდა, რაც სირთულეებს ქმნიდა არა მხოლოდ ანგარიშსწორებაში, არამედ აღრიცხვიანობასა და ოპერატიულობაში. დაწყებულია კომპიუტერული პროგრამების შემუშავება, რომელიც წლევანდელი წლის პირველ სახევარში დამთავრდება. ერთი სიტყვით, საფინანსო სამსახური და ბუღალტერია სრულად იქნება კომპიუტერიზებული. ეს კი გამჭვირვალეობის საშუალებას იძლევა, ყველა ინფორმაცია გასთავსდება ვებ გვერდზე და იგი ნებისმიერი ადამიანისთვის იქნება ხელმისაწვდომი.

რაც შეეხება მომავალში პენსიების გაზრდას, ანუ აქვს თუ არა ჩაფიქრებული ეს ხელისუფლებას და იძლევა თუ არა ამის საშუალებას ფონდის ხაზინა, ან როდის დაიწყება ნამსახურობის სტაჟის მიხედვით პენსიების გაცემა და როგორი დიფერენციაციით, სხვა წერილის თემაა და უახლოეს დრომი შემოგთავაზებთ.

რუსუდან ლორთქიფანიძე.

◎ ინფორმაცია

აკრძალვა უნდა შეჩერდეს

„მემარჯვენე ოპოზიციამ“ პარლამენტიდან სიგარეტით გარევაჭრობის აკრძალვის შესახებ მთავრობის გადაწყვეტილების მოქმედების შეჩერებას და ამ მიზნით სპეციალური დადგენილების მიღებას ითხოვს, რომელიც ფრაქციამ მოამზადა.

როგორც გუშინ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე „მემარჯვენე ოპოზიციის“ წარმომადგენელმა ზურაბ ყფიმალაძემ განაცხადა, დადგენილების პროექტში მითითებულია, რომ ჯანმრთელობის დაცვის, სოფლის მეურნეობის და ეკონომიკის სამინისტროების ერთობლივი გადაწყვეტილება „მომხმარებელთა ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველსაყოფად ვაჭრობის მეთოდების დაშვების წესების შესახებ“ „თამბაქოს ნაწარმით ვაჭრობის შესახებ“ კანონის ამოქმედებამდე უნდა შეჩერდეს.

დადგენილებაში ასევე მითითებულია, რომ პარლამენტმა „თამბაქოს ნაწარმით ვაჭრობის შესახებ“ კანონში ცვლილებები უნდა შეიტანოს, რადგანაც ეს კანონი სქემატურად თამბაქოს ნაწარმით მანიპულაციასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს არეგულირებს, თამბაქოს ნაწარმის კონტროლისთვის დამატებითი მოთხოვნები სწორედ აღნიშნულ კანონში უნდა იყოს ასახული და შესაბამად, კანონის მიღებისთანავე კომპლექსურად უნდა ამოქმედდეს.

ამინდი და გზები

საავტომობილო გზების დეპარტამენტის მონაცემებით, ძლიერი ქვისცვენისა და ზვავების ჩამოწოლის გამო, ქუთაისი-წყალტუბო-ლენტეხი-ლასიდის საავტომობილო გზის 96-160 კმ-ში ყველა სახის ავტოგრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია. ანალოგიური მდგომარეობაა გუდაური-კობის მონაკვეთზეც.

ინტენსიური თოვის გამო ქუთაისი-ტყიბული-ამბროლაურის საავტომობილო გზის 50-76 კმ-ში ავტოგრანსპორტის მოძრაობა მხოლოდ მიცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებითაა დასაშვები.

თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო

გზის ჩუმათელეთი-ხევის მონაკვეთზე კი მოძრაობა თავისუფალია ყველა ტიპის ავტომანქანისთვის ნასხვერადმისაბმელიანი და მისაბმელიანი ტრანსპორტის გარდა. ამ ტიპის ავტომანქანების გადაადგილება მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებითაა დაშვებული.

ჩინელმა იმერეთში თვალს წყალი დაალევინა

გუშინ იმერეთს ორდღიან სამუშაო ვიზიტად ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი საქართველოში ვან კაივენი ეწვია.

იმერეთის გუბერნატორმა გია გაწყაძემ სტუმარს ზესტაფონის ფეროშენადნობთა და თერჯოლის ღვინის ქარხნები დაათვალიერებინა.

ამ დროისთათვის ვან კაივენი ქუთაისში იმყოფება, სადაც ჩინური საბრძოლო ხელოვნების „უშუ-კუნგ-ფუ“-ს ასოციაციის ქართველ წარმომადგენლებს ხვდება.

როგორც „ინტერ-პრესს“ იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციიდან აცნობეს, ეს ჩინელი დიპლომატის პირველი ვიზიტია რეგიონში და იგი გაცნობით ხასიათს აგარებს.

ახალი პროექტი მწეველთათვის

თამბაქოს საწინააღმდეგო ეროვნული ცენტრი მწეველებს ახალ პროექტს „სიგარეტის გარეშე – ჯანმრთელი ოჯახი“ სთავაზობს.

პროექტით გათვალისწინებული მეთოდები საშუალებას იძლევა, მწეველმა თამბაქოს თავი ერთი წლის განმავლობაში დაანებოს.

პროექტში მონაწილე ყოველ მწეველს საოჯახო-სამედიცინო ბარათი გადაეცემა, რომლითაც ოჯახის ყველა წევრს შეეძლება სარგებლობა. ბარათით განსაზღვრულია შემდეგი სამედიცინო მომსახურება: დიაგნოსტიკური გამოკვლევა (ექოსკოპია, ლაბორატორიული კვლევა, კარდიოგრამა), ამბულატორული მომსახურება.

მწეველისთვის კომპლექსური მომსახურება 25 ლარი ღირს.

ინტერ-პრესი.

◎ სიტუაცია

გაუგებარი ბრძანება და გასაგები ქუჩის აქციები

ასე ეკონომიკას ვერ ავაშენებთ

ბაბაშუნელს მობრძანებისთანავე მთელ საქართველოში მორიგი აჟიოტაჟის ტალღა აგორდა, რაც, არც მეტი არც ნაკლები, ბაბრობებზე თამბაქოს ნაწარმის და ალკოჰოლური სასმელების ვაჭრობის აკრძალვას მოჰყვა. ამასთან დაკავშირებით დედაქალაქში და პროვინციებში იმატა აქციებმა და საპროტესტო გამოსვლებმა.

– აქვს კი ამას ობიექტური საფუძველი? **– ვეკითხები საქართველოს ბიზნესის სფეროთა ინტერესების დაცვის კავშირის თავმჯდომარეს, ქვეყნის თავისუფალ მცირე მეწარმეთა ასოციაციის თანათავმჯდომარეს ანზორ ბაბუხადიას.**

– ამ კითხვით, – ამბობს ბაგონი ანზორი, – უპირველესად მე დავინტერესდი და სიტუაციაში გასარკვევად სალქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ვესტუმრე. ჩემი თვალით წაიკითხე ამ უწყების თავკაცის, აკრეთვე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის და სოფლის მეურნეობის მინისტრების ერთობლივი ბრძანება, საიდანაც, გამოგიტყდებით, ბევრი ვერაფერი გავიგე. თვით ბრძანების სათაურიც კი, რომელიც ასეა ფორმულირებული: „მომხმარებელთა ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით ვაჭრობის მეთოდების დაშვების წესების შესახებ“, მრავალსიტყვიელი სიტყვების რახარუხია (მაპატიონ ასეთი გამოთქმა) და მეტი არაფერი. იქნება ვინმემ განმიმარტოს, მაგალითად, რას ნიშნავს გამოთქმა: „ვაჭრობის მეთოდების დაშვების წესება“ და მადლობას მოვახსენებ.

ახლა უშუალოდ საქმეზე. ვინმემ ტენდენციურობა რომ არ დაგვწამოს, მოდით ერთად ჩავიხედოთ ბრძანების № 1 პუნქტში. მასში ვეკითხულობთ: „საქართველოს მთელს ტერიტორიაზე არ დაიშვას ალკოჰოლიანი (მათ შორის ლუდის, რომელშიც ალკოჰოლის შემცველობა აღემატება 1.15 გრადუსს) სასმელებით სავაჭრო გარიგებების განხორციელება (გარდა ჩამოსასხმელი ღვინისა) სასოფლო-სამეურნეო, სასურსათო და სამრეწველო პროდუქციის სავაჭრო კომპლექსებიდან, რომლებიც შედგება ამ მიზნისთვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთისა და მასზე განლაგებული სტაციონარული და არა სტაციონარული სავაჭრო ადგილებისგან, ცენტრალიზებული სამეურნეო მომსახურებითა და მართვით, რომელთა საქმიანობის ძირითად სახეს სავაჭრო ადგილების გაქირავება წარმოადგენს“.

ვერაფერი გაუგეთ? ვერც მე.

ზუსტად ანალოგიურია ბრძანების № 2 პუნქტიც, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ის შეეხება ბაბრობებზე თამბაქოს პროდუქციით ვაჭრობის აკრძალვას. ბრძანების № 3 პუნქტში კი ჩაწერილია, რომ ბრძანების შესრულება უნდა გააკონტროლოს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ. რაგომ? აქეთ კი უფლება ზემოთ დასახელებულ სამინისტროს, თავიანთი ერთობლივი ბრძანების შესრულების კონტროლი ფინანსთა სამინისტროს დაავალონ?

– ბატონო ანზორ, ამ ბრძანებამ თქვენნაირი გამოცდილი სპეციალისტი რომ ასე „დააბნია“, დარწმუნებული ვარ, მას სხვა როგორი „გამჭვირვალობით“ აღიქვამდა. ამის თაობაზე ეკონომიკური განვითარების სამინისტროს რომ ეწვიეთ, რა გაარკვიეთ?

– ვერაფერი. სამინისტროს სპეციალისტებმა, იგივე ბრძანების პროექტის ავტორებმა, რომელთაც რამდენიმე შეკითხვა დავუსვი, მიპასუხეს, რომ საკითხს დააზუსტებენ და შედეგს უახლოეს დღეებში შემატყობინებენ. ვიყავი ფინანსთა სამინისტროშიც, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ვერც იქაურმა სპეციალისტებმა უპასუხეს ჩემს ძალზე მარტივ შეკითხვებს. მაშინ ვთხოვე – ოფიციალურად წერილს (კონკრეტული შეკითხვების თანხლებით) გამოიგზავნით და იქნებ მასზე მაინც ინებოთ განმარტება-მეთქი. ამაზე მთლად გადაირივნენ – ფინანსთა სამინისტრო რა ვალდებულია წერილობითი განმარტება გასცეს ნორმატიულ აქტებთან დაკავშირებულ რაიმე საკითხზეო, „თქვენთვის საინტერესო საკითხზე განმარტებისთვის სასამართლოს მიაკითხეთო“.

– თქვენი კომენტარი?

– ამ ფაქტს კომენტარი კი არა, რეაგირება სჭირდება. მე კი სასამართლოში, ალბათ, მაინც მომიწევს წასვლა, ოღონდ სულ სხვა მისიით. ეს მუქარა არ გახლავთ, ეს ჩემი სამსახურებრივი მოვალეობაა!

– მანამდე კი რას აპირებთ?

– მანამდე ალბათ უპრიანი იქნება თქვენი გაზეთის მეშვეობით რამდენიმე შეკითხვა დავუსვა ზემოთ ნახსენები ბრძანების ავტორებს:

– ვის ეხება, ან ვის არ ეხება ეს ბრძანება? თუ ეხება, რაგომ ეხება, ან რაგომ არ ეხება? სად შეიძლება ამ საქონლით ვაჭრობა და სად არ შეიძლება?

– ბრძანების მიზანი თუ მომხმარებელთა ჯანმრთელობაზე ზრუნვაა, მაშინ რა შუაშია ისეთი სიტყვებით მანიპულირება, როგორებიცაა: „სავაჭრო გარიგებების განხორციელება“, „სავაჭრო კომპლექსები“, „გამოყოფილი მიწის ნაკვეთი“, „სავაჭრო ადგილები“, „ცენტრალიზებული სამეურნეო მომსახურება და მართვა“, „სავაჭრო ადგილების გაქირავება და მართვა“ და სხვა. და თუ მიზანი მართლაც მოსახლეობის ჯანმრთელობაა, რაგომ არ ვმრუნავთ, ბაგონებო, ალკოჰოლური სასმელებითა და თამბაქოს ნაწარმით ვაჭრობის მთელ მსოფლიოში აპრობრებული წესების ელემენტარულ დონეზე დასაცავად მაინც? თუ რეალური მიზანი, დავუშვათ, კონტრაბანდასთან ბრძოლაა, რაზეც ბრძანებაში სიტყვაც არ არის ნახსენები, მაშინ რას მივკიბ-მოვკიბავთ, ნუთუ არ ვიცით, სად არის კონტრაბანდასთან ბრძოლის ველი? ეს თუ არ ვიცით, ის ხომ მაინც უნდა ვიცოდეთ, რომ აღნიშნული ბრძანება პირველ რიგში ასგამოლირებს ამ საქონლით დაგარებითი და გარევაჭრობის ყოველად მახინჯ, სამარცხვინო ფორმას, ან თუნდაც „მეთოდებს“, რაც უადგილოდ და უფუნქციოდ არის ნახსენები ბრძანების სათაურში.

– ამ დოკუმენტით განსაზღვრულია, რომ ბრძანება ამოქმედდეს 2005 წლის პირველი მარტიდან, ხოლო მისი პირველი პუნქტი – 2005 წლის აპრილიდან. რომელი აპრილიდან? ესეც განგებ ხომ არ არის ჩაწერილი, რომ შემმოწმებელი (მაკონტროლებელი) „შემოქმედებითად“ მიუდგეს ბრძანების შესრულებაზე კონტროლის დაწესებას?

– როგორ განსხორციელებს ფინანსთა სამინისტრო კონტროლს იმ ბრძანების შესრულებაზე, რომელშიც ამდენი დაუზუსტებელი და გაურკვეველი მომენტია? როგორც შევიტყვეთ, ფინანსთა სამინისტროს ეს დავალება, თავისი 2005 წლის 28 თებერვლის № 114 ბრძანებით, გადაუმისამართებია – ფინანსური პოლიციისა და საგადასახადო დეპარტამენტისთვის „გადაულოცავს“. ეს ხომ არ ქმნის საფუძველს, რომ ისინი ასევე „შემოქმედებითად“ მიუდგებიან დაკისრებული დავალების შესრულებას?

როგორც ჩემთან საუბარში ბაგონმა ანზორ ბაბუხადიამ განაცხადა, სარწმუნო წყაროს ინფორმაციით, ამ ბრძანების შექმნის ისტორია ასეთია: ერთ მშვენიერ ღღეს ვიღაც დიდმა, ყოვლისმცოდნე ჩინოვნიკმა ბრძანა, ხვალიდან ბაბრობებზე სიგარეგით და ალკოჰოლური სასმელებით ვაჭრობა აღარ დავინახოო. რაგომ ან რისთვის, შეკითხვა ვერავის დაუსვამს და ეს სუროგატიც (ბრძანება) სახელდახელოდ გამოცხვა. თანაც ისე, რომ ბრძანებაში სიტყვა ბაბრობა ან ბაბარი საერთოდ ნახსენებიც არ არის.

საინტერესოა, აღიარებს თუ არა ამ ვერსიას რომელიმე ზემოთ ნახსენები სამინისტრო, ან იმას მაინც, რომ მეწარმეთა ამ კატეგორიის მრავალათასიანი არმია აბუზად აიგდეს? ნუთუ ძნელია იმის გაანალიზება, რომ ბიზნესთან ასეთი დამოკიდებულება ქვეყნის ეკონომიკის დანგრევის ტოლფასია? ისე არავინ გაგვიგოს, რომ ბაგონი ანზორ ბაბუხადია ან ზეთის რედაქცია წინააღმდეგია ამ საკითხში სახელმწიფოებრივი წესრიგის დამყარებისა. პირიქით, აუცილებელია ზემოთ აღნიშნული საქონლით ვაჭრობაში გადაუდებელი ღონისძიებები განხორციელდეს, მაგრამ ეს უნდა მოხდეს კანონიერად (ან, მინიმუმ, წიგნიერად მაინც) შედგენილი კანონის ფარგლებში.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ პარლამენტის შესაბამისი სტრუქტურები, კერძოდ, დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტი ამ ფაქტს ურეაგირებოდ არ დატოვებენ.

ოთარ ხუციშვილი.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 55, ხუთშაბათი, 10 მარტი, 2005 წელი.

ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ

თუ ვინმე ბორჯტი გულით ჩამოვა, მაგის წამალიც ვიცით

(ᲓᲐᲡᲐᲛᲔ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ)

— დიახ, გზად ბორჯომისკენ და მეტადრე, ქალაქში, მშენებარე ობიექტებს მოვკარი თვალი...

— ჩვენ კარგი გადამხდელები ვყოფილ. ბიუჯეტის 70 პროცენტზე მეტს „ბორჯომი“ ავსებს, ეს საშუალებას გვაძლევს ქალაქსაც მივხედოთ და სოფლადაც ბევრი კარგი საქმე გავაკეთოთ. სოფლებით დავიწყოთ: ზანავის, რველის, გიმოთესუბნის დაწყებითი სკოლები შეიღება და ეშოებიც კეთილმოეწყო. ზანავში ჩინებული საფეხბურთო მოედანი გაკეთდა, ქალაქის № 6 საშუალო სკოლის და ქალაქის ზოგი ბაგა-ბაღის შენობების სახურავი მთლიანად შეიცვალა, გარემონტდა № 1 საშუალო სკოლა, სოფლის სკოლებიც. მთლიანად განახლდა კურგანეთის, რველის, გიმოთესუბნის, ჭობასხევის, წაღვერის სასოფლო კლუბები და ბიბლიოთეკები. ამჟამად დიდ საქმეს ვართ შეჭიდებული: მიმდინარეობს სარაიონო კულტურის სახლის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები. ამ ზაფხულს ქალაქის მოსახლეობა და დამსვენებლები თანამედროვე სტანდარტების კულტურის სახლს მიიღებენ. მიმდინარეობს აგრეთვე ქალაქის მთავარი სტადიონის ძირეული განახლება, სამუშაო ბევრია, ქალაქის პარკებში ბორჯომელებს საყრდენი კედელი შენდება, პარკში — დასასვენებელი კუთხეები, ფანჩატურები, სავაჭრო პავილიონები.

რა თქმა უნდა, სამშენებლო ობიექტებს მარტო დაფინანსება კი არა, სამშენებლო მასალებით უბრუნველყოფაც სჭირდება, ხშირად — დეფიციტური მასალებით. და როცა თავს ირენს რაიმე პრობლემა, ყოველთვის ჩვენთანაა ჩვენი მაყორიტარი ლეუბგატი საქართველოს პარლამენტში ნოდარ ბრეგაღაშვილი, რომელიც რაიონის ეკონომიკისა და კულტურისთვის ბევრ სასიკეთო საქმეს აკეთებს.

— როგორ ვითარდება ბორჯომი-ხარაგაულის ეროვნული პარკი, რომლის გახსნაც თავის დროზე ფრაან რეს-პუბლიკურ ვითარებაში, ლამის ქორწაწილების აკომპანიმენტით ჩაგარდა, მაგრამ შემდგომ ეს საქმე ერთგვარად ჩრდილში მოექცა. ამ პარგზე საუბარი პასუხის გაცემაც იქნებოდა ამ შეკითხვებზე, რომელიც რედაქციაში პერიოდულად შემოდის.

— სიამოვნებით. ბორჯომი-ხარაგაულის ეროვნული პარკი, როგორც იცით, სულ რამდენიმე წლის წინათ შეიქმნა. იგი ჩვენი ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში, აჭარა-იმერეთის ქედის ფერდობებზეა გაშლილი. პარკის ფართობი 69 ათას ჰექტარს მოიცავს, საქართველოს მთლიანი ფართობის ლამის 1 პროცენტია. თავისი ტერიტორიის მიხედვით ბორჯომი-ხარაგაულის ეროვნული პარკი ერთ-ერთი უდიდესია ევროპაში. პარკის უმაღლესი წერტილი სამეცხვარიოს მთაა — 2642 მეტრი ზღვის დონიდან და იგი აჭარა-იმერეთის ქედის ჩრდილოეთ განშტოებაზე მდებარეობს.

აქ ყველაფერი მრავალფეროვანია — ლანდშაფტით, ფაუნითა და მცენარეული საფარით დაწყებული და კლიმატური პირობებით დამთავრებული. გერმანელი მეტყევეე-სპეციალისტების აზრით, რომლებიც ეროვნული პარკის განვითარების საინტერესო პროექტს ახორციელებენ, პარკმა ახლებურად უნდა წარმოაჩინოს ტურიზმის ინფრასტრუქტურა თავისი ინფრასტრუქტურით. შემუშავებულია მარშრუტები, როგორც საცხენოსნო, ასევე „ქვეითი“ ტურისტებისთვის. მთებში აშენდა ღამისგასათევი კოტეჯები, გაყვანილია ტურისტული ბილიკები თავისი გზის მაჩვენებლებით, შენდება ბევრი სხვა ობიექტი ტურისტების ორგანიზებული და შინაარსიანი დასვენებისთვის.

ეროვნული პარკი ადიღენის, ახალციხის, ბორჯომის, ხაშურის, ხარაგაულის, ბაღდათის რაიონებს ესაზღვრება და თითო რაიონში ერთი პროგრამა მაინც — რაიონის რაიმე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემის მოსაგვარებლად უნდა განხორციელდეს. ეს დამხმარე მონის პროექტითაა გათვალისწინებული. ბორჯომში, მაგალითად, ქალაქის სასმელი წყლით შეუფერხებლად მომარაგების პროექტი ხორციელდება. სამუშაოები გაისად უნდა დამთავრდეს და როგორც ვეპირდებიან, ჩვენს ხახაგამშრალ ონკანებში წყალი მუდმივად იდინებს.

უნდა ითქვას, რომ ბორჯომის ხეობის ტყეებს ამთავითვე დიდი ამაგი დასდეს ევრმანელმა მეტყევეე ინეინრებმა. მარგო მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ნაკრძალის გამგეების თანამდებობაზე ევრმანიიდან მოწვეული სწავლული ბუნებისმეტყველის იუგენრის სახელის ხსენება რად ღირს!

სხვათა შორის, მისი ორსართულიანი ხის სახლი დღემდე შემონახული ქალაქში. ბრაკონიერებთან ბრძოლა, ტყის დაცვა-გაშენება, ველურ ხილზე კულტურული ხეხილის მყნობა, ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების ეგგარება, ველური ნადირ-ფრინველის დაცვა-გამრავლება, — ყველაფერი ეს იუგენრის სახელს უკავშირდება.

— ეფიქრობ, მართებული არ იქნებოდა გარემოს — ტყეების დაცვის, მომავალი თაობებისთვის ბუნების პირველყოფილი სახით შენარჩუნების საქმეში კომუნისტების მიერ გაწეული მუშაობის უგულებელყოფა. სხვა რომ არა, „ტყე შეუნახე შვილებსა“ მაშინდელი სიმღერაა.

— ერთხელ ტყეში ბრაკონიერებს ზედ წავადექი. ჯიშიანი ხეები წამოექცეოთ და, ეტყობა, შესვენება ჰქონდათ, პურსა სჭამდნენ, ხელში არყეთ სავსე ჭიქები ეჭირათ და ამ სიმღერას მღეროდნენ. ეს ახლა თქვენ გამახსენეთ. კი, უნდა ვიმღეროთ, მაგრამ თუ სიმღერაში ჩადებულია აზრმა არ შეეგაწუხა, იმ ბრაკონიერებს დავემსგავსებით.

ჩვენი ხეობის ტყეები კი წინა საუკუნის ბოლოს სოციალური სივრციდან იმოღირებული ტერიტორიების მდგომარეობაში აღმოჩნდა თუ არა, მაშინვე დაიწყეს დაცული ტერიტორიების ახალი, უფრო მოქნილი სისტემის ჩამოყალიბებისთვის შრომა და მთავრობის გადაწყვეტილებით კიდეც შეიქმნა საქართველოში პირველი — ბორჯომი-ხარაგაულის ეროვნული პარკი. და კვლავ ევრმანელები მოვიდნენ ჩვენს დასახმარებლად. ევრმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების საკრედიტო ბანკმა (KFW) პარკის დაარსებისთვის ევრანგის სახით 2 261 ათასი ევრმანული მარკა გაიღო. მას არ მოსახლეობის ბარემოხვაცვიი და ეროვნული პარკის პერსონალის მომზადება ჯამორჩენია მხედველობიდან. ამ მიზნით 1700 ათასი მარკა გამოყო. ამის ბარდა ბორჯომი-ხარაგაულის რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაფინანსებისთვის ევრმანულ მხარეს განზრახული აქვს 2 739 ათასი მარკის დაბანდება.

ბორჯომი-ხარაგაულის პარკის სიკეთეს მალე იგრძნობენ ადამიანები. რაიონში მნიშვნელოვნად იზრდება ახალი ინვესტიციების მოზიდვის შანსი, ხოლო ტურისგთა ნაკადი მოსახლეობისთვის მდგრადი, ალტერნატიული შემოსავლის წყარო გახდება. პარკს დამთავალიერებელი მანამდე ეყოლება, ვიდრე ველური ბუნება კარგად იქნება დაცული. და თუ ყველა ეს ზემოთ თქმული ორ სიტყვაში ვკუსრს მოვაქციოთ, იგი ასე ჩამოყალიბდება: „პარკი რეგიონისთვის — რეგიონი პარკისთვის“.

— არის კიდევ ერთი რეგიონი, ეს — ბაკურიანი და მისი მაღალმთიანი ზონაა, გრადიციულად ქვეყნის სამთოსათხილამურო სპორტის აღიარებული კერა. ადრე იგი ზამთარ-ზაფხულ ტურისტებით იყო სავსე. გასაგები მიზეზების გამო, ჯერჯერობით სტუმრების, მეტადრე უცხოელების ხალვათობაა.

— ბაკურიანი და, საერთოდ, ეს მხარე ტურისტული ინდუსტრიის ჯერ-ჯერობით „მთვლემარე ვულკანია“. დალაგდება ჩვენი ქვეყანა და ისიც თავის სიტყვას იტყვის — ევროპის ზამთრის კურორტებს და სამთოსათხილამურო ცენტრებს ამოუდგება მხარში.

— მორეულ მომავალშეა საუბარი?

— რაგომ მორეულზე? შესაძლოა წლეულსვე — საამისო საპროექტო დოკუმენტაციის შედეგნა უკვე მთავრდება — ბაკურიანში დიდი სპორტული კომპლექსის მშენებლობა დაიწყოს. იგი ბათვალსწინებულია როგორც ბაფხულის, ისე ზამთრის სპორგის სახეობებისთვის.

მე არ მაქვს რწმენება, ბავაჟლერო იმ ბიზნესმენების სახელები, რომლებმაც ხელი მოჰკიდეს ამ ბრანდიოზული პროექტის ხორცშესხმის საქმეს, ამის შესახებ თავად იტყვიან ეთერში ან პრესით. იმის თქმა კი შეიძლება, რომ მშენებლობა მილიონები ჯდება და მომავალში ევროპის სპორტულ, ზნეპავი, ტურისტულ რუკაზე ბაკურიანიც გაბრწყინდება.

ამასობაში არც გამგეობა მის ბედულელდაკრეფილი. ბაკურიანთან, ამ ადგილთან სხვა კურორტებთან დამაკავშირებელ იმ გზებს არემონტებს, რომელზეც ტურისტული მარშრუტები გაიელის. მოასფალტდა ბორჯომი-ბლაგოს საავტომობილო გზა, შავი საფარით დაიფარა აგრეთვე საავტომობილო გზის 4-კილომეტრიანი მონაკვეთი დაბა წაღვერიდან XII-XIII საუკუნეების დიდებული არქიტექტურული ძეგლის ტიმოთესუბნის ღვთისმშობლის მიძინების ტაძრამდე, შეკეთდა და მოსჩრეშ ბლაგოცემის 12-კილომეტრიანი მონაკვეთი. კაპიგალურად გარემონტდა ბორჯომ-ბაკურიანის საავტომობილო გზის ზოგი მონაკვეთი. მდინარე გუჯარულაზე აგებულმა რკინაბეტონის ახალმა ხიდმა სოფელ მშეთამზიასთან მყარად და საიიმედოდ დაგვაკავშირა, სოფელ ვარდეინეთთან კი მტკვარზე ახალი საავტომობილო ხიდის მშენებლობა მიმდინარეობს. ეს ყველაფერი ჩვენ, გარდა ამისა, რომ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას უწყობს ხელს, რაიონის „ტურისტული გეოგრაფიის“ გაფართოებისთვისაც გეგზირება. წლეულს თავად ბაკურიანში გველის ფიდი სამუშაოების შესრულება. სანაგორიუმებთან, დასასვენებელ სახლებთან, ტრამპლინებთან, სხვა სპორგულ ბაზებთან მისასვლელი გზები დაზიანებულ-დანგრეულია და კურორტის შედაგზების აღდგენის სამუშაოები უნდა მოვრჩეთ. ეს ყველაფერი რაიონის ბიუჯეტიდან ფინანსდება.

— დავუბრუნდეთ ჩვენი საუბრის დასაწყისს. ერთი შეკითხვა უპასუხოდ დაგვრჩა. მე გკითხეთ: ჩაიკოფსკი რუსეთიდან დღეს რომ ჩამოსულიყო ბორჯომში, სად დაასვენებდით-მეთქი.

— ჩვენს ქვეყანაზე დაბოღმილი გულით ნურავინ ჩამოვა და, სულაც სახლში წავიყვან, სუფრასაც გავუშლი და ხელადით ღვინოსაც შემოვდგამ მაგიდაზე.

ახლა, თუ ვინმე ბოროგი გულით ჩამოვიდა, მაგის წამალიც ვიცით.

ესაუბრა
ᲒᲣᲠᲐᲛ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ,
„სრ“ საკ. კორ.

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

ᲪᲔᲜᲢᲠᲘ ᲥᲣᲩᲘᲡ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ პრემიერმა თემურ ქურხულმა გუშინ გლდანში ბავშვთა სოციალური ადაპტაციის ცენტრი მოინახულა. აღნიშნული ცენტრი შს სამინისტრომ ქალაქის მერიას ცოტა ხნის წინ გადმოსცა. ადრე ცენტრი ბავშვთა მიღების, გადამზადების და პროფილაქტიკის ცენტრის სახელით იყო ცნობილი.

როგორც თბილისის პრემიერმა განაცხადა, აპრილის დასაწყისისთვის ცენტრში 70 ბავშვი განსახლდება.

როგორც მერიის ჯანდაცვის საქალაქო სამსახურის ბავშვთა ცენტრის ხელმძღვანელმა თინათინ შელიამ განაცხადა, ეს იქნება ახალი გიპის დაწესებულება, რომელიც იზრუნებს ქუჩის ბავშვების ოჯახების დადგენაზე, რის შემდეგაც განისაზღვრება, სად უნდა მოხვდნენ ბავშვები ცენტრში სოციალური ადაპტაციის გავლის შემდეგ და მათი მოქალაქეობრივი სტატუსი.

ამჟამად მიმდინარეობს ცენტრის შენობის რეაბილიტაცია. თბილისის მერიის ქალაქგანათების სამსახურმა, „თბილგაზმა“ და „თბილწყალკანალმა“ სამუშაოები უკვე ჩაატარეს. ჯერჯერობით თბილისის მერიამ ამ სამუშაოებისთვის 300 ათასი ლარი გამოყო, 200 ათას ლარს კი ბავშვების მდგომარეობის გაუმჯობესებას ჯანდაცვის საქალაქო სამსახური მოახმარს.

როგორც პრემიერმა ქურხულმა აღნიშნა, ყველაფერი გაკეთდება იმისათვის, რომ ცენტრში ბავშვები ნორმალურ პირობებში იმყოფებოდნენ.

ᲒᲐᲥᲕᲡ 5 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ, ᲨᲔᲒᲔᲫᲚᲔᲑᲐ ᲒᲐᲮᲡᲜᲐ ᲡᲐᲛᲝᲠᲘᲜᲔ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ სამორინეების გახსნის უფლების მოპოვება 5 მილიონი ლარი ეღირება. გუშინ პარლამენტის პლენარულმა სხდომამ განიხილა კანონპროექტი „სალიცენზიო მოსაკრებლის შესახებ“ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ და გაიბიარა პარლამენგარ ბაზა მალანიას ინიციატივა, რომელიც აღნიშნული სალიცენზიო მოსაკრებლის 3-დან 5 მილიონ ლარამდე გაზრდას ითვალისწინებს. ბაზა მალანიას ამ ინიციატივას საქართველოს მთავრობაც ეთანხმება.

პარლამენგი ბათუმში სამორინეს გახსნისთვის სალიცენზიო მოსაკრებლის 500 ათასიდან მილიონ ლარამდე გაზრდასაც მოითხოვს, თუმცა ბათუმთან დაკავშირებით აღმასრულებელ ხელისუფლებას კანონმდებლებისგან განსხვავებული პოზიცია აქვს.

როგორც მთავრობის საპარლამენგო მდივანმა გია ხუროშვილმა განაცხადა, მთავრობა ბათუმის გეოგრაფიული მდებარეობიდან და მისი პერსპექტივებიდან გამომდინარე მიიჩნევს, რომ ამ ქალაქში სამორინეების გახსნისთვის ხელსაყრელი პირობები უნდა იყოს შექმნილი. ამიგომ, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლეს მიზანშეწონილად მიაჩნიათ ბათუმში სამორინეს გახსნისთვის სალიცენზიო მოსაკრებელი 500 ათასი ლარით განისაზღვროს.

პარლამენგმა გუშინ მეორე მოსმენით განიხილა კანონპროექტი „სალიცენზიო მოსაკრებლის შესახებ“. როგორც პარლამენგის თავმჯდომარის მოადგილემ მიხეილ მაჭავარიანმა განაცხადა, აღნიშნული კანონპროექტის დახვეწაში დიდი წვლილი მიუძღვის პარლამენგის საფინანსო-საბიუჯეგო კომიგეგს და მის თავმჯდომარეს რომან გოცირიძეს.

ᲑᲣᲠᲓᲖᲚᲐᲡ ᲥᲣᲩᲘᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ბურდგლას ქუჩის (ყოფილი შმიდგის) ყოფილ მობინადრეებს შესაძლოა საკუთრებაში გადაეცეთ ტერიგორია, სადაც მათთვის საცხოვრებელი კორპუსი ჯერ კიდევ 14 წლის წინათ უნდა აშენებულიყო. ამ საკითხზე გუშინ თბილისის საკრებულოს ეკონომიკური რეფორმებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომაზე მსჯელობდნენ.

ჯერ კიდევ 1987 წელს, თბილისის საქალაქო აღმასკომის საბჭოს გადაწყვეგილებით, „საქნენერგოს“ საცხოვრებელი კორპუსის ასაშენებლად შმიდგის ქუჩაზე მიწის ნაკვეთი გამოეყო, რომლის ტერიგორიაზე რამდენიმე კერძო საცხოვრებელი სახლი მდებარეობდა. მობინადრეების სახლები ახალ კორპუსში ბინებით დაკმაყოფილების პირობით დაანგრეს, თუმცა, „საქნენერგომ“ სახლის აშენება ვერ შეძლო. 14 წლის განმავლობაში უსახლკაროდ დარჩენილმა 22 ოჯახმა, თბილისის ხელმძღვანელობას მიწის ნაკვეთის დაბრუნების თხოვნით რამდენიმე ხნის წინ მიმართა.

როგორც საკრებულოს ეკონომიკური რეფორმებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომაზე აღნიშნეს, მობინადრეებმა სპეციალური „ამხანაგობა“ შექმნეს და საცხოვრებელი სახლის აშენებას საკუთარი სახსრებით გეგმავენ.

საკრებულომი მიაჩნიათ, რომ ყოფილი შმიდგის ქუჩის მობინადრეთა მოთხოვნა სამართლიანია და შესაბამისად, საკრებულოს წევრები აღნიშნული საკითხის მოგვარების რეკომენდაციით ქალაქის პრემიერ თემურ ქურხულს მიმართავენ.

ᲘᲜᲤᲝᲠᲛ-ᲞᲠᲔᲡᲘ.

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲓᲐᲜ

შიგნით და ქვეყნიერებაზე...

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲒᲝᲗᲣᲐ – 100


ᲚᲔᲕᲐᲜ ᲒᲝᲗᲣᲐ (1960 წ.)

„ᲒᲛᲘᲠᲗᲐ ᲕᲐᲠᲐᲛᲐ“, „ᲛᲘᲗᲠᲘᲚᲐᲒᲘ“ „ᲓᲐᲕᲘᲗ ᲐᲓᲐᲛᲐᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ“, „ᲛᲔᲤᲔ ᲔᲠᲔᲙᲚᲔ“, „ᲣᲫᲚᲔᲕᲔᲚᲘᲜ“, „ᲣᲒᲖᲝ ᲥᲐᲠᲐᲕᲐᲜᲘ“, „ᲙᲠᲬᲐᲜᲘᲡᲘᲡ ᲡᲔᲕᲓᲐ“, „ᲜᲘᲡᲚᲔ ᲜᲐᲮᲐᲒᲐᲠᲘᲡ ᲙᲒᲔᲨᲘ“, „ᲚᲔᲙᲔᲗ ᲚᲝᲛᲘᲡᲐ“, „ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲘᲬᲧᲔᲑᲐ ᲤᲧᲐᲚᲓᲘᲓᲝᲑᲝᲗ“, „ᲬᲮᲜᲔᲗᲘᲡ ᲖᲐᲠᲘ“, „ᲗᲠᲘᲐᲚᲔᲗᲝᲣᲠᲘ ᲚᲐᲜᲓᲔᲑᲘ“...

აი, არასრული სია ლევან გოთუას ნაწარმოებებისა, რომლებშაც ღირსული ადგილი დაიმკვიდრეს ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

სამწუხაროდ, ლევან გოთუამ შემოქმედებითი ცხოვრების საუკეთესო წლები, თითქმის მეოთხედი საუკუნე შორეულ ჩრდილოეთში, „მავთულსიქითა სამყაროში“ გაატარა. ამიგომ, გასაგები მიზეზების გამო მწერლის ტრაგიკული ბიოგრაფია თითქმის უცნობი იყო ფართო საზოგადოებისთვის.

1990 წელს ჟურნალმა „მნათობმა“ დასტამბა მწერლის და-ძმის, თამარ და სანდრო გოთუების „თავგადასავალი ლევან გოთუასა“, რომელიც 1995 წელს გამომცემლობა „თარხანმა“ ცალკე წიგნად გამოსცა.

ციმბირიდან დაბრუნების შემდეგ ერთ ხანს ტკბებოდა თავისუფლებით, წერდა, ბეჭდავდა, მოგზაურობდა მთასა და ბარში, სიცოცხლით ხარობდა. მესხეთ-ჯავახეთს ეწვია, მასალებს აგროვებდა, ისტორიული რომანის დასაწერად ემზადებოდა, მაგრამ ეშმაკს არ ეძინა...

1946 წლის ზაფხულში, ხერთვისთან კვლავ დააპატიმრეს, 58-ე მუხლით გასამართლეს (სამშობლოს ღალატი; სსრკ-ის დამხობის მცდელობა პროპაგანდისა და აგიგაციის გზით), და იმიერ პოლარეთში გადაასახლეს.

— ჩემდა საბედნიეროდ, მოსკოვმა ჩემს მიმართ აღამიანობა გამოიჩინა, — დახვრეგა შემიცვალა და ათი წელი ამეკიდა მძიმე, გამასწორებელ ბანაკში გადასახლებით, როგორც გამოუწორებელ, მძლავრ პოლიგიკურ მოღვაწეს, — წერდა იგი ოჯახში.

სოლოვკების, ნარომის, ბიისკის ბანაკების შემდეგ ლევან გოთუა ვორკუგაში აღმოჩნდა!

ვორკუგის საკონცენგრაციო ბანაკებში გამეფებულ რეჟიმზე წარმოდგენას შეგვიქმნის ოჯახში გამოგზავნილი ერთი ბარათის ფრაგმენტი:

— ჩვენი ბანაკი თავისი უფროსებითა და დასჯის სახეებით საოცარი ნადირებით სავსე ბუნაკს უფრო ჰგავს, ვიდრე XX საუკუნის პაგიმრების ცხე-სამყოფელს. ჩვენ მონები ვართ, ყოველგვარ უფლებებს მოკლებული. აგ გამეფებულია არაადამიანური, პირველყოფილი ყოველგვარი სიდუხჭირე, წამება და წვალება, მორალური თუ ფიზიკური განადგურება.

ბანაკში ჩვენ არ ვითვლებით ადამიანებად. ბარაროსლების ხელში ვართ. ვერ წარმომიდგენია, საიდან მოდის ეს სისასტიკე და გვსლი. მე მიკვირს, კაცს, როშელაც რა არ გადაეიგანე.

ამ ბანაკში მკელელები, ქურდები, თავგზეხლაღლეული ხალხი და ეგრეთწოდებული პოლიგპაგიმრები ერთად ვართ შეყრილები. ერთ ტაფაში ვიწვებით. კგორელელებიც აქ არიან. ვის არ შეხვდები აქ? საუბედუროდ, ყველა უკვე ყოფილები ვართ, დაწყებული უბრალო კაციდან, რომელმაც წერა-კითხვა არ იცის, და რაც მთავრიან, არც ის იცის, ასე სასგიკად რაგომ დასაჯეს, გთავევებული სწავლული ხალხთ, განათლებული ინტელიგენციით, ყოფილი ნარკომებით, აკადემიკოსებით, დიდი რანგის სამხედროებით და პოლიგმუშაკებით...

ყოფილი „ვორკუგლაგელი“, შეშენებელ-ინჟინერი სანდრო ჩიკოიძე იგოსნებს: „ — ამ ბანაკში ქართველებს ერთპიროოვნული „უაგრიარქი“ და ზნეობრივი კანონმდებელი გვყავდა ლევან გოთუას სახით.

გარეგნულად იგი ძალიან კოლორიტული ფიგურა იყო: მსხვილი აღნაგობა ჰქონდა, უკვე ჭაღარაშერეულს ამშვენებდა აწეწილი ხუჭუჭა თმა და დაბურული წარბები, საიდანაც კეთილი და ამასთან ერთად ოღნავ მომღიმარი თვალები იმზირებოდნენ. მის გარეგნობაში იყო რაღაც აინშგაინისეული, და ამასთან განსაკუთრებით ახლობელი.

ჩვენთვის, ქართველებისთვის, იგი თავისებური მიზიდულობის ცენტრი იყო. მისი სულიერი გამომეტყველება იმდენად მკაფიოდ იყო გამოსგატული, რომ ერთმა არაქართველმა კაგორელემა თქვა, — **„ეს ისეთი ადამიანია, ვისაც სინდისი ცრემლზე უფრო სუფთა აქვს“.**

ძალიან ძნელი იყო ასეთი დახასიათების დამსახურება იმ არაადამიანურ პირობებში, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებოდით“.

განსაცვიფრებელია, როგორ გაუძლო მან ბანაკებში გამეფებულ, ზემოთაღწერილ სამინელებებს, და მაინც შინაგანად გაუბმარავ, სულიერად სპეგაკ ადამიანად დარჩა. ან როგორღა მოასწრო იმ უმდიდრესი ლიგერაგურული მემკვიდრეობის შექმნა, რომელმაც ხალხის საყოველთაო სიყვარული დაუმკვიდრა. მაგრამ საკმარისია გავეცნოთ სუსხიანი ჩრდილოეთიდან ოჯახში გამოგზავნილ მის ბარათებს, და მყისვე აღმოვაჩენთ იმ მაგიურ ძალას, რომელმაც მწერალ ყოველგვარი განსაცდელი გადაგანინა. ეს გახლავთ სამშობლოს უმიმო სიყვარული...

„ — ვერ გამიგია, სამშობლო იმიგომ მიყვარს ასე ძლიერ, რომ ასე შორსა ვარ, თუ იმიგომ ვარ ასე შორს, რომ ასე ძლიერ მიყვარს სამშობლო“, — წერდა იგი.

როცა ლევან გოთუაზე ჩამოვარდება სიტყვა, წამითაც კი არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ იგი სისხლხორცეულად იყო დაკავშირებული თავისი ქვეყნის წარსულთან და ამით მის აწმყოსა და მომავალთან. ლევან გოთუა იყო და დარჩება სიყვარულის მომღერლად. იგი დაჯილდოებული იყო დიდი და ნათელი ეონებით, მარგალიგივით ძნელად რომ იპოვება ქვეყნად. მისი, როგორც მწერლის, იდუმალი ოსგატობა და მომხიბველლობა ის გახლავთ, რომ მკითხველი შუდამ დაძაბული და მონუსხული ჰყავდა. ლევან გოთუა იყო ჩვენი წარსულის პირუთვნელი მსაჯულიცა და ჭეშმარიგი მხაგვარიც.

ლევან გამოთუა მწერლობაში მთამსველლობიდან მოვიდა. მისი პირველი წიგნი „ხდედალეულნი“ მთას და მთამსველებს ეძღვნება. მას საგულისხმო ასვლებში მიუღია მონაწილეობა.

ლეგენდარულმა ალიოშა ჯაფარიძემ ბაგონი ლევანი თავის ჯგუფში ჩარიცხა და მასთან ერთად გაიარა ქართველ მთამსველთა პირველი დიდი გრავეერსი, — მაჩხაფარიდან ზეესხომდე; მწვერვალები — შავი უცნობი, თეთრი უცნობი, კოტე მარჯანიშვილი, საბა-სულხანი... მას შემდეგ გრადღიად დამკვიდრდა — მწვერვალებს დიდ ქართველთა სახელები დაენათლა.

— მრავალი მთამსველი ყოფილა კავკასიონზე, მაგრამ მთა მართლაც ცოცხალი არსებაა რომ ყოფილიყო, მას უთუოდ დაამახსოვრდებოდა ერთი — ლევან გოთუა; ერთი იმიგომ, რომ იმვიათად არიან ადამიანები, რომლებსაც ასე ესმით მისი, როგორც ლევან გოთუას, — განაცხადა მწერლის დაბადებიდან 70 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე საქართველოს მთამსველთა ფედერაციის მაშინდელმა თავმჯდომარემ ოთარ გიგინეიშვილმა.

„ — არავითარი ბედნიერება არც მწადს, და არც მწამს, უკეთუ ჩემი სამშობლოს ხარჯზე იქნება“, — წერდა იგი. და განა მარგო წერდა — ეს ბაგონი ლევანის ცხოვრების დევიზი იყო. ეს მხოლოდ ჭეშმარიგ მამულიშვილს შეეძლო ეთქვა, რომელიც მთლიანად მამულის სიყვარულსა და სამსახურში დაიხარჯა...

ახდა მწერლის ოცნება. 1955 წლის აგვისგაში, ჯოჯოხეთგამოვლილი ადამიანი, როგორც იქნა, სამშობლოში დაბრუნდა, ამჯერად უკვე სამუდამოდ.

დაიწყო მჩქეფარე შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. „ზმირთა ვარამა“ არნახული წარმატება ჰქონდა. ლევან გოთუა შედიგენ ციფრული ტექნოლოგიებით აღჭურვილი სგამბის მუშაობის სრულყოფილი ცოდნა; კომპიუტერის შესაბამისი პროგრამები (ინგერნეგი, MS Office, Page Maker an InDesign).

ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘ:

კონკურსი სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად (შემდგომ — კონკურსი) უწრუნველყოფს სახელმწიფო სამსახურის თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველასთვის.

კონკურსი ეწყობა იმ პირებს შორის, რომლებიც შეიგანენ განცხადებას კონკურსში მონაწილეობის მისაღებად და დაკამაყოფილებენ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

კონკურსში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ როგორც სახელმწიფო მოსამსახურეებმა, დაკავებული სახელმწიფო თანამდებობის მიუხედავად, ისე პირებმა, რომლებიც არ იმყოფებიან სახელმწიფო სამსახურში, არიან საქართველოს მოქალაქეები, ფლობენ საქართველოს სახელმწიფო ენას.

კანონის შესაბამისად, მისაღები კანდიდგების ასაკი განსაზღვრულია 21-დან 65 წლამდე.

კონკურსს აგარეს ოფიციალურ გამოცემათა სამსახური — საქართველოს პრეზიდენგის ბიბლიოთეკის საკონკურსო-საგესგაციო კომისია;

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა ოფიციალურ გამოცემათა სამსახური — საქართველოს პრეზიდენგის ბიბლიოთეკის საკონკურსო-საგესგაციო კომისიაში წარადგინონ განცხადებასთან ერთად უნდა წარადგინონ შემდეგი საბუთები:

1. ავგობიოგრაფია;
2. განათლების და შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობა;
3. უკვე გაცემული შრომის წიგნაკი.

საბუთები მიიღება ორი კვირის ვადაში განცხადების გამოქვეყნების დღიდან (შაბათ-კვირის გარდა) 14 საათიდან 18 საათამდე.

კონკურსი მოეწყობა განცხადების გამოქვეყნების დღიდან არაუადრეს სამი კვირის შემდეგ.

კონკურსის წარმაგებით გავლის შემთხვევაში გამარჯვებულმა ორ კვირაში უნდა წარმოადგინოს დამაგებითი საბუთები („საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად).

დაწვრილებითი ინფორმაციისათვის შეგიძლიათ მიმართოთ საკონკურსო-საგესგაციო კომისიას შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. №29, ტელ: 93-24-93.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საჯარო სამსახურის ბიერო აცხადებს კონკურსს ოფიციალურ გამოცემათა სამსახურის — საქართველოს პრეზიდენგის ბიბლიოთეკის შემდეგ ვაკანგურ თანამდებობებზე:

1. ოფიციალურ გამოცემათა განყოფილება:

მთავარი სპეციალისგი: *0,5 საშგაგო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 90 ლარი).*

საკვალიფიკაციო მოთხოვნები: უმაღლესი განათლება; ქართული ენის სრულყოფილი ცოდნა, მოცემულ ტექსგთან მუშაობის უნარ-ჩვევები (რედაქტირება, სგილი, კორექტურა); კომპიუტერის პროგრამები (ინგერნეგი, MS Office, Page Maker an InDesign).

2. საქართველოს პრეზიდენგის ბიბლიოთეკის საფონდო და საინფორმაციო ციფრული ტექნოლოგიების სამმართველო:

მთავარი სპეციალისგი: *0,5 საშგაგო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 90 ლარი);*

საკვალიფიკაციო მოთხოვნები: საოფისე და კომპიუტერული ტექნიკის სარემონტო და პროფილაქტიკური სამუშაოების გამოცდილება; შესაბამისი უნარ-ჩვევები და უსაფრთხოების ნორმების ცოდნა.

მთავარი სპეციალისგი: *0,5 საშგაგო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 90 ლარი);*

საკვალიფიკაციო მოთხოვნები: უმაღლესი განათლება; ქართული ენის სრულყოფილი ცოდნა, მოცემულ ტექსგთან მუშაობის უნარ-ჩვევები (რედაქტირება, სგილი, კორექტურა); კომპიუტერის პროგრამები (ინგერნეგი, MS Office, Photoshop, CorelDraw).

სპეციალისგი: *1 საშგაგო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 140 ლარი):*

საკვალიფიკაციო მოთხოვნები: — უმაღლესი განათლება საბიბლიოთეკო საქმის სპეციალობით; ქართული ენის სრულყოფილი ცოდნა, მოცემულ ტექსგთან მუშაობის უნარ-ჩვევები (რედაქტირება, სგილი, კორექტურა); კომპიუტერის პროგრამები (ინგერნეგი, MS Office,

სს „თბილისის საერთაშორისო აეროპორტი“ აცხადებს კონკურსს აეროპორტის ტერიტორიის საიჯარო ფართებზე საუკეთესო წინადადებების გამოსავლენად:

აეიანბილეთების სარეალიზაციო სალარობი

- სალარო №1;2 და ოფისი – 29,0 კვ.მ. – 986$ თვეში, დღე-ს გარეშე
- სალარო №3 – 8,5 კვ.მ. – 350$ თვეში, დღე-ს გარეშე
- სალარო №4 – 8,5 კვ.მ. – 350$ თვეში, დღე-ს გარეშე
- სალარო №5 – 8,5 კვ.მ. – 350$ თვეში, დღე-ს გარეშე
- სალარო №6 – 8,5 კვ.მ. – 350$ თვეში, დღე-ს გარეშე
- სალარო №7 – 8,5 კვ.მ. – 350$ თვეში, დღე-ს გარეშე
- სალარო №8 – 8,5 კვ.მ. – 350$ თვეში, დღე-ს გარეშე
- სალარო №9 – 8,5 კვ.მ. – 350$ თვეში, დღე-ს გარეშე
- სალარო №10 – 8,5 კვ.მ. – 350$ თვეში, დღე-ს გარეშე
- სალარო №12 – 8,5 კვ.მ. – 350$ თვეში, დღე-ს გარეშე
- სალარო №13 – 8,5 კვ.მ. – 350$ თვეში, დღე-ს გარეშე
- სალარო №14 – 8,5 კვ.მ. – 350$ თვეში, დღე-ს გარეშე
- სალარო №15 – 8,5 კვ.მ. – 350$ თვეში, დღე-ს გარეშე
- სალარო №16 – 8,5 კვ.მ. – 350$ თვეში, დღე-ს გარეშე
- სალარო №17 – 8,3 კვ.მ. – 345$ თვეში, დღე-ს გარეშე
- სალარო №18 – 8,3 კვ.მ. – 345$ თვეში, დღე-ს გარეშე

<u>შენიშვნა:</u> **საიჯარო გადასახადში არ შედის კაფშირგაბმულობით, ელექტროენერგიით, წ□ალით სარგებლობის ღირებულება.**

აეიასალაროების იჯარით გადაცემის კონკურსში მონაწილეობის პირობები:

1. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მხოლოდ აეიასწარმოების (აეიაკომპანიების, აეიასაგენტოების), რომლებიც უშუალოდ ახორციელებენ საერთაშორისო აეიაგადაზიდვებს, მასთან მჭიდროდ დაკავშირებულ სხვა საქმიანობას, კერძოდ: აეიაბილეთების რეალიზაციას; რეისის შესრულების უზრუნველსა□ოფად მგზავრის აეროვაგზალში მომსახურებასთან უშუალოდ დაკავშირებულ სხვა საქმიანობას.
2. იჯარით გადასაცემი ფართის დანიშნულება – აეიასალარო.
3. აუცილებელია აეიაბილეთების ავტომატიზირებული დაჯავშნის სისტემის ქონა.
4. იჯარის ჭერიოდი – მიმდინარე წლის ბოლომდე.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად აეიასაწარმო ვალდებულია წარადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

- იურიდიული პირის სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლი.
- საწარმოს პირველი პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები.
- ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.
- ხელარო სამართლის იურიდიული პირის – სამოქალაქო აეიაციის ადმინისტრაციის მიერ გაცემული მოქმედი ლიცენზია ან სერტიფიკატი შესაბამისი საქმიანობის განხორციელებაზე.
- ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.
- ზენორმატიული ბარგის ასანაზღაურებელი სალარო – 8,14 კვ.მ. – 340$ თვეში, დღე-ს გარეშე
- ოთახი №10 – 7,15 კვ.მ. – 350$ თვეში, დღე-ს გარეშე
- მოუკითხავი ბარგის შესანახი ოთახი №3 – 5,24 კვ.მ. – 140$ თვეში, დღე-ს გარეშე
- აეიაბილეთების სარეალიზაციო სალარო – 8,5 კვ.მ.– 350$ თვეში, დღე-ს გარეშე
- ოფისი – 6,5 კვ.მ. – 170$ თვეში, დღე-ს გარეშე
- აეიაბილეთების სარეალიზაციო სალარო – 8,14 კვ.მ. – 340$ თვეში, დღე-ს გარეშე
- აეროპორტის საკონტროლო-სარეგისტრაციო ტერიტორიაზე სპეცკოლონის შენობაში ფართი ოფისის განსათავსებლად – 30,0 კვ.მ. – 125$ თვეში, დღე-ს გარეშე

<u>შენიშვნა:</u> **საიჯარო გადასახადში არ შედის კაფშირგაბმულობით, ელექტროენერგიით, წ□ალით სარგებლობის ღირებულება.**

საიჯარო ხელშეკრულების სანოტარო დამოწმების და აუცილებელი საბუთების წარმოდგენის ხარჯებს იხდის კონკურსში გამარჯვებული.

შენიშვნა: საიჯარო ქირა მოცემულია დდგ-ს გარეშე.

◎ კოლეგის ხსოვნას

ჩვენ ბრძენკაცი მეგობარი გვყავდა...

ვებლაუჭებოდით იმედს, იქნებ საჩვენოსკენ მოეხედა ავადმყოფს... არაფერი გამოვიდა, წერამწერალმა ასე ინება – პირგამოშფხულზე სულეთში გადაასახლა ჩვენი ძვირფასი მეგობარი და კოლეგა თეიმურაზ მეტრეველი, ჩვენი თემო – ერთ-ერთი მეგრი თანამედროვე ქართული ჟურნალისტიკისა...

ვი რომ, დასანანია... ამ შემოდგომაზე მისთვის დაბადების 60 წლისთავი უნდა მიგეგლოცა, მოვფერებოდით ჭეშმარიტად გამორჩეულ პიროვნებას, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ქართული სიტყვის სამსახურს შეალია, ქართული ჟურნალისტიკის წინსვლა-ამაღლებას მოახმარა.

„ახკომიდან“ დაწყებული პირველი ნაბიჯებით, მან უმალ დაიმკვიდრა მაძიებელი, დაკვირვებული, წიგნიერი და წინგამხედავი კალმოსნის სახელი. მის პუბლიკაციებს განათლებისა და კულტურის საკითხებზე ყოველთვის გამოარჩევდა სტილის სინატიფე, ბრძენკაცის სიღრმე და ანალიზი... რა გასაკვირი იყო – თემოს ხომ ჩვენს სათაყვანებელ მწერალთა, XIX საუკუნის ცნობილ პუბლიცისტთა იერი გადასდიოდა, ილია ჭავჭავაძე სახაგედ ჰყავდა, ხოლო სულხან-საბას სურათი კაბინეტში გამორჩეულ ადგილას ეკიდა. აკი, თავის ერთადერთ ვაჟიშვილსაც, დღეს უკვე მის დირსეულ მემკვიდრეს და სამაგალითო ახალგაზრდას – სულხანი დაარქვა...

განსაკუთრებული იყო თემოსთვის ჩვენს რედაქციაში გაგარებული წლები, აქ მისმა ნიჭმა და უნარმა ახალი წახნაგები შეიძინა, რედაქციის უფროსი თაობის ჟურნალისტებს ყოველთვის ემახსოვრებათ მისი კეთილშობილება, ოჯახიშვილობა, თავაზიანობა, უზადო იუმორი, უკეთურობისადმი შეურიგებლობა (რა დასამალია, რომ მისი ნააღრევი სიკვდილის ერთ-ერთი მიზეზიც ეგ იყო: უკეთურობა ვერაფრით მოითმინა, თითქოსდა, მშვიდმა კაცმა).

იგი ბრძენკაცი დარჩა დამოუკიდებელი საქართველოს პირობებშიც, როდესაც ერთიმეორის მიყოლებით გამოვიდა უამრავი გაზეთი, საბაზრო ეკონომიკამ გადაუარა ყველას და ყველაფერს, იაფფასიანი, უგემოვნო პუბლიკაციებით გადაიჭედა ჟურნალ-გაზეთები... თემო – ერთ-ერთი პირველი დამოუკიდებელი გაზეთის – „კაბადონი-8“-ის მთავარი რედაქტორი, თემო – გაზეთ „ქართული კულტურის“ მთავარი რედაქტორი, თემო – „დილის გაზეთის“ მთავარი რედაქტორი, თემო – გაზეთ „ახალი ეპოქის“ მთავარი რედაქტორი – წინ იძღოლებდა დიდი ილიას დღესაც განსაკუთრებით აქტუალურ ფრაზას: „ჩვენ საზოგადო ჭირზედა ვწერთ...“

საგულისხმოა, რომ იგი არ გახლდათ ოდენ რედაქტორი – სტრატეგი, მისი სტიქია ქართულ სიტყვასთან ურთიერთობა, სხვათა ნაწერის გულდაგულ რედაქტირებაც იყო... თემომ დააფრთიანა ბევრი დამწყები ჟურნალისტი, „მწვანე შუქს“ აძლევდა ნიჭსა და გამბედაობას, უამრავი სტუდენტი ისმენდა მის გულდინჯ საუბარს ჟურნალისტიკის საკითხებზე...

რა თქმა უნდა, დღეს ეს მაღლიერი ახალგაზრდებიც გულწრფელად გამოეთხოვებიან თავიანთ საყვარელ მაესტროს...

წავიდა იგი – დაუწყნარებელი, დაულაგებელი ქვეყნის შვილი, მის დღევანდელობაზე გულნატკენი, ხვალინდელ დღეზე მოფიქრალი... წავიდა და დატოვა მაგალითი იმისა, თუ რა თავდადებით უნდა ემსახურო საქმეს, რომელიც ღმერთმა მოგანიჭა.

ნათელი დაგადგეს, ჩვენო თემო!.. შენ ჭეშმარიტად ვალმოხდილი მიუხვალ მამა-პაპათა, ჩვენთა დიდთა წინაპართა!..

„საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომელთა სახელით –

ვილენ მარდალეიშვილი.

გაფრენილი ფლეგის სევდა

ჩვენ ზუსტად ორმოცი წლის წინათ გავიცანით ერთმანეთი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეექვსე კორპუსში, ჟურნალისტიკის კათედრაზე საქართველოს რადიოს დაუსწრებელი კონკურსის პრიზიორი აბიტურიენტები უკვე დასწრებულად ვწერდით საკონკურსო თემებს. ჩემი ყურადღება მაშინვე მიიპყრო საშუალო განის შავგრემანმა ჭაბუკმა, რომელიც სიდინჯესთან ერთად საოცარი იუმორითაც გამოირჩეოდა. თემურ მეტრეველი მქვია, საშურელი რაჭველი ვარო, მითხრა ღიმილით და ხელი ჩამომართვა.

ჩვენ სულ მალე სანუკვარი ფაკულტეტის სტუდენტები გავხდით და თემური მთელმა ჯგუფმა ერთხმად აირჩია მამასახლისად. იმ დღიდან იგი ჩვენი საძმოს უცვლელი ლიდერი და უსაყვარესი წევრი იყო. პირადად ჩემთვის მასთან მეგობრობა იქცა ღვთისგან ნაბოძებ უდიდეს საჩუქრად, ფასდაუდებელ ნობათად, რომელიც აგერ ახლა, თბილისიდან მოულოდნელად დარეკილმა ტელეფონის ზარმა საუკუნოდ წამართვა. მიმძიმს და ვერაფრით მომიხერხებია იმ აზრთან შეგუება, რომ ეს ღირსეული მამულიშვილი და საზოგადო მოღვაწე მსგავსი პიროვნებებით დღეს არცთუ განებივრებულ ჩვენს ელიგას ასე ერთბაშად გამოეცალა ხელიდან.

თემურ მეტრეველმა მთელი თავისი ცხოვრება ქართული ჟურნალისტიკის უანგარო სამსახურს შეალია. ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში ბეჭდავდა ფელეტონებს ჟურნალ „ნიანგში“, იყო რადიოს შტატგარეშე კორესპონდენტი. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სწორედ რადიოს საყმაწვილო რედაქციაში დაიწყო მუშაობა და ჩვენი მოზარდების საყვარელი გადაცემა „დაფიონი“ კარგა ხანს მის სახელთანაც იყო დაკავშირებული.

მერე იყო გაზეთების – „ახკომისა“ და „კომუნისტის“ თანამშრომელი, რამდენიმე გაზეთის მთავარი რედაქტორი.

მისი ბოლო და საბედისწერო პირმშო გამოდგა გაზეთი „ახალი ეპოქა“, საკმაოდ შეყვითლებული ქართული პრესის ფონზე, მართლაც რომ, გამოირჩეოდა დარბაისლური ტონით, ზნეობრიობითა და კეთილმოსურნეობით. მე ტელევიზორში შემთხვევით ვუყურე მის საპროტესტო გამოსვლას, როცა იგი თანამშრომლებთან და ერთგულ მკითხველებთან ერთად გმობდა რედაქციის გაუქმებას. სახეზე ფერი აღარ ედო, დაუმახურებელი წყენისგან სიტყვები ვეღარ ეპოვა, რაღაცნაირად დაბნეული და უსასოო ჩანდა.

გასულ მაისს, თბილისში ერთდღიანი სტუმრობისას, მის ბინაში მთელი ღამე სუფრასთან თეთრად გავათენეთ. ძალიან გულდაწყვეტილი იყო, უმუშევრობას განიცდიდა და ახალი იდეების ხორცშესხმაზე ოცნებობდა. იმ საღამოს გამოსაცემად გამზადებული წიგნიდან ახალი ლექსები წავუკითხე. ერთი მათგანი ძალიან მოეწონა და მთხოვა, გადამიწერეო. თუ მოგეწონა, შენთვის მომიძღვნია-მეთქი, ვუთხარი და იქვე დაგიწერე.

ვიცი, რომ მისი წიგნებით დახუნძლულ უზარმაზარ სტელაჟზე თვალსაჩინო ადგილას დევს ის ხელნაწერი, რომელიც, როგორც ამჟამად ვხედავ, საბედისწერო გუმანმა შემოხვევით როდი აარჩევინა ჩემს უგულითადეს მეგობარს.

შავი ყუთი

თეიმურაზ მეტრეველს

რადგან წარწყული მომავალს არ ჭვავს
და არაფერი არ მეორდება,
ყველა თაობა რადაცას კარგავს,
როცა საკუთარ სიეზმეს შორდება.

ჯერ ფიქრობს: ერი მისით იწვება,
აღვმატება სიმაღლითა კოლოსს,
მაგრამ ბავშვური თავდავიწყება
გამოფუზზლვებით თავდება ბოლოს.

სხვა არ ვიცი და ჩვენი თაობა
ჩარჩა ბნელსა და სინათლეს შუა
და ის თაშაში, ის ბურთაობა
ახლა ციმციმა მირაჟი თუა.

გავინავარდეთ სულ ერთი წუთით,
მერე რა მოხდა, არა ვიცი რა!..
ჩვენ ჩვენთა დღეთა ვართ შავი ყუთი
და შიგ წერია, რამ შეგვიწერა!

ჰაი, ჰაი, რომ იმ შავ ყუთში მართლაც ყველაფერი წერია და მე უკვე ვიცი მისი შინაარსიც, მაგრამ განა ეს შეამსუბუქებს სიჭაბუკიდან თანშეზრდილ ძმასთან საუკუნოდ გამოთხოვების უმწარეს წამს?!

რაულ ჩილაჩავა.
კიევი, 6 მარტი, 2005 წელი.

„თეიმურაზ დამაარსებელი“ არსად გაქცეულა...

თანამედროვე ქართულ ჟურნალისტიკას გამორჩეული შვილი მოუკვდა, – დახვეწილი ინტელიგენტი, შესანიშნავი მოქართული, ბრწყინვალე რედაქტორი, პუბლიცისტი, უმცროს კოლეგათა აღმზრდელი თემურ მეტრეველი.

– არა, ძმაო, ნამდვილი დამაარსებელი ხარ, – ვეხუმრებოდი ხშირად, – გაზეთები „კაბადონი-8“, „ქართული კულტურა“, „დილის გაზეთი“, „მოქალაქე“, „ახალი ეპოქა“, – ყველას პირველი რედაქტორი და სულისჩამდგმელი შენ იყავი, თანაც, არცერთიდან არ „გაქცეულხარ“, – მეტრეველის პრინციპულობის გადამკიდე, ფინანსური შეჭირვების მოგვითი „გხურავდნენ“.

ჯადოსნური ხალიჩის საღარი გამოცემა იყო „ახალი ეპოქა“ – სანდო, ზღვა ინფორმაციით სავსე, ტექნიკურად უზადო, მართლაც ახალი სიტყვა ქართულ ჟურნალისტიკაში. ისიც პოლიტიკურ კატაკლიზმებს შეეწირა. საოცრად განიცადე, შენს დინჯ ხასიათს და ინტელიგენტურობას რომ არ ეკადრებოდა, – ქუჩაშიც გამოხველი, პროტესტიც გამოხატე, არ გეგონა ასეთ უიშვიათეს გაზეთს თუ გაწირავდნენ... „ომეგა“ და „ქართული მწერლობაც“ ზედ მიაყოლეს.

„თუ გაიქცევი, დაიღუპები“, – ასე ერქვა შენს 30 თუ 35 წლის წინათ დაწერილ პუბლიცისტურ წერილს, რომელშაც მაშინ საქართველო აალაპარაკა. რა თქმა უნდა, მასში ახალგაზრდობის მოუშუშებელ ტკივილებზე იყო საუბარი... ასევე უწოდე შენს ბოლო პუბლიცისტურ წიგნს, რომელიც ქართველ ჟურნალისტთა ერთ-ერთი სამაგიდო წიგნია.

შენ არსად გაქცეულხარ. მუდამ ნიჭიერებს, ზნეობას, სიკეთის, მეგობრობის ცენტრში ტრიალებდი და კვლავაც იტრიალებ... ვერასოდეს დაგივიწყებთ...

სპარტაკ ძოგულია.

◎ ინფორმაცია

იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ რამე

რეზერვ „ინტერ-პრესს“ ეკონომიკური განვითარების სამინისტროში განუცხადეს, 17 მარტს სამინისტრო 9 ობიექტის გაყიდვას გეგმავს. ამ ობიექტების გაყიდვის შემთხვევაში ბიუჯეტში, სავარაუდოდ, 2 მილიონი დოლარი შევა.

სამინისტროს პრივატიზაციის დეპარტამენტის თავმჯდომარე კახა დამენია პრემენტაციაზე დეტალურად წარადგენს გასაყიდად გაგანილ ობიექტებს და ამ ობიექტებში არსებულ მდგომარეობაზე ისაუბრებს.

გასაყიდად გაგანილია „შულავერის არამადნეული მასალების ქარხანა“, რომლის საწყისი ფასია 280 000 დოლარი, „ვაზიანი-2000“ – 220 000 დოლარი, შპს „მერქანი“ – 90 000 დოლარი, არასაცხოვრებელი ფართი ადმაშენებლის გამზირზე – 250 000 დოლარი, „საქრუსმანქანას“ კაპიტალიდან ამოღებული ბაზალეთის დასასვენებელი კომპლექსი – 35 000 დოლარი, შპს „გამომცემლობა ნაპირი“ – 1 750 000 დოლარი, შპს „მელიორატორი 21“ – 120 000 დოლარი, „ვარკეთილის ღვინის ქარხანა“ – 750 000 დოლარი და შპს „ადამიანის რესურსების განვითარების ცენტრი“ – 100 000 დოლარი.

ინტერ-პრესი.

◎ ფეხბურთი

სარვამარტო საჩუქარი

ფეხბურთის ისტორია კიდევ ერთი შედეგრით გამდიდრდა. დიახ – შედეგრით, რამეთუ ძნელია სხვაგვარი შეფასება მოუძებნო „ჩელსისა“ და „ბარსელონას“ საპასუხო მერვედფინალურ მაგჩს.

„სტემფორდ ბრიჯზე“ მხოლოდ საფეხბურთო ამბები არ ხდებოდა – ეს უფრო ამბიციურ მწვრთნელთა ტაქტიკური ღელი გახლდათ, რომელსაც დამატებით ინტრიგას მათ შორის პირველი რაუნდის შესვენებისას მომხდარი ინციდენტი ანიჭებდა.

ამმავითვე მოვჭრიათ – მართალია, შემდეგ ეტაპზე „არისტოკრატები“ გავიდნენ, მაგრამ ქებას შემტევი ფეხბურთის სადიდებელი სანახაობის მონაწილე ორივე გუნდი იმსახურებს. მოკლედ, გაუმარჯოს „ჩელსის“, მადლობა „ბარსელონას“.

„ჩელსი“ – „ბარსელონა“ 4:2 (1:2).

გოლები: გუდიონსენი, ლამპარდი, დაფი, ტერი; რონალდინიო (2).

დაუვიწყარი შეხვედრის შესახებ საუბარს რონალდინიოს მორიგი სასწაულით დავასრულებთ – მის მიერ მასპინძელთა კარში გაგანილი მეორე გოლი, შესაძლოა, საუკუნის გოლად აღიარონ.

კიდევ უფრო უხვგოლიანი გამოდგა საფრანგეთში გამართული მაგჩი, სადაც „ლიონმა“ ამჯერადაც მიწასთან გააწორა ბრემენის „ვერდერი“ 7:2 (3:0). „ცალკარას“ გმირად „ჰეთთრიქის“ ავტორი ვილტორდი მოგვევლინა, რომელსაც „დუბლით“ ესიენი შეეწია.

როგორც მოსალოდნელი იყო, ტრავმირებული კლაძის გარეშე მოასპარეზე „მილანმა“ შინ თამაშის დასურული მოდელი შესთავაზა ერთბაშად ოთხი (!) თავდამსხმელით მობურთალ „მანჩესტერს“, თუმცა საწადელს პირველი მაგჩის ანალოგიური შედეგით მაინც მიაღწია 1:0. როგორც მაშინ, გოლი „სან-სიროზეც“ კრესპომ გაიგანა.

რაც შეეხება „ინტერისა“ და „პორტუს“ შეხვედრას, იგი 15 მარგისთვის გადაიდო (პირველი მაგჩი – 1:1).

◎ თაობა

გზა „კაქტუსმა“ დაულოცა

ქარიული კალათბურთის აქილევსის ქუსლად წლების განმავლობაში განმაღალ მოთამაშეთა დეფიციტი ითვლებოდა. საბედნიეროდ, ეს დრო წარსულს ჩაბარდა – მდგომარეობა იმდენად გამოსწორდა, რომ დღეს უკვე აღარავის უკვირს მოედანზე აშოლგილ გამთამაშებელთა გამოჩენა. აღნიშნული მეგამორფოზის საიდუმლოებას, ალბათ, შესაბამისი დარგის წარმომადგენლები ამოხსნიან, ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, ახალი თაობის პერსპექტიულ თანამემამულეებს შევაწიოთ ორიოდე სიტყვა – ამჯერად 15 წლის მსუბუქ ფორვარდს (საკალთბურთო ტერმინოლოგიით – მესამე ნომერს) **ნიკოლოზ წერეთელს** წარმოვიდგენთ.



გუგამ, როგორც ახლობლები ეძახიან, სპორტის საყვარელ სახეობაში ვარჯიში 7 წლისამ დაიწყო „კაქტუსში“ თამაშ ოერუაშვილთან, სადაც მასთან ერთად ამჟამად უკვე ლეგიონერები – ლევან შენგელია და დათო მაისურაძე დაოსტატდნენ.

ჩვენი წერილის პერსონაჟის საბრძოლო ნათლობა ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის სახელს უკავშირდება – ქვეყნის კალეგთა ნაკრების თავკაცმა ორი წლით უფროს პარტნიორებთან ერთად მიიწვია თავის გუნდში და საბერძნეთში თანაგოლთა შორის ევროპის ჩემპიონაგის ფინალური ეტაპი დააჭაშნიკებინა. მართალია, ყმაწვილმა „ჯვარისნებმა“ ელადაში წარუმატებლად იასპარეზეს, მაგრამ გამოცდილების შეძენის თვალსაზრისით შარშანდელი ბაგალები მნიშვნელოვან ეტაპად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

წლეულს ეროვნული ჩემპიონატის ერთპიროვნული ღიდერის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდის „ღუბლების“ (მწვრთნელი – მერაბ ცირკიძე) წევრს არანაკლებ სერიოზული გამოცდა ელის – ივლისში ბულგარეთში 1989 წელს დაბადებულ ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირია დანიშნული, სადაც ქართველთა მეტოქეები შეეღები, უნგრელები და მასპინძლები იქნებიან. ალბათ, მიაქციეთ ყურადღება – გუგა ისევ თავისზე უფროსთა ნაკრებშია მიწვეული. დაგვეთანხმებით, საგულისხმო ფაქტია.

დავძენთ, რომ მისი კერპები ზაზა ფაჩულია და კობი ბრაიანგი არიან.

გია ჰლატონიშვილი.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

◎ სამგო

სეზონი დიდოვში გახსნეს

ახალი სპორტული სეზონის პირველი ორთაბრძოლები გამართეს სამბისტებმა. დიდმის ოლიმპიური მომზადების ცენტრის ხალიჩაზე პირველობისთვის 1985-86 წლებში დაბადებული სპორტსმენები ეცილებოდნენ ერთმანეთს. სულ შეჯიბრებაში 23 ქალაქისა და რეგიონის 220 ფალავანი გამოდიოდა. ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის – ოლეგ იაძის განცხადებით, ეს იყო ძალთა დათვალიერება ევროპის 2005 წლის პირველობის წინ, რომელსაც აპრილის პირველ დეკადაში იუგოსლავია უმასპინძლებს.

წონითი კატეგორიების მიხედვით კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ: ნოდარ ჯაჭვანი (თბილისი), ლერი ჩაფუნელი (კახპი), გიორგი შუკვანი, ვეფა სანიკიძე (ორივე – ქუთაისი), ლევან ბეინაშვილი (კახპი), დავით ბარამია (თბილისი), ლევან ფერაძე (თბილისი), ლერი ყორკოლიანი (მესგია), თემურ ჯუღელი (თბილისი).

ზოთა ბოკერია.

◎ სპორტულ ორგიტაზე

კასპაროვი მიუწვდომელია?

ლინარესის საჭადრაკო სუპერტურნირზე გაიმართა მე-12 ტური. იქამდე კიდევ იყო შესაძლებელი, რომ ლიდერს გარი კასპაროვს სხვა თუ არა, ინდოელი დიდოსტაგი ვიშვანათან ანანდი წამოსწეოდა, მაგრამ მე-12 ტურის შედეგებმა, ვფონებთ, ეს შანსი გააქარწყლა. როგორც მსოფლიო რეიტინგის, ისე მიმდინარე სუპერტურნირის ლიდერმა კასპაროვმა კიდევ ერთი გამარჯვება იზეიმა. მან შავი ფიგურებით დაამარცხა ინგლისელი მაიკლ ადამსი, რითაც 7,5 ქულა დაუგროვდა და თითქმის მიუწვდომელი გახდა დანარჩენი მონაწილეთათვის, რადგან ამ ტურში ტოპალოვმა დაამარცხა ფიდეს ჩემპიონი კასიმჯანოვი და 6 ქულით წამოეწია ინდოელ კოლეგას, რომელიც ამ დღეს ყიამს დასჯერდა ვალეხოსთან პარგაიში.

დანარჩენ მონაწილეებს ასეთი ქულები დაუგროვდათ. ლეკო 5 ქულა ათიდან, ადამსი 4,5 – თერთმეტიდან, კასიმჯანოვი – 3,5 თერთმეტიდან, ვალეხო – 3,5 თერთმეტიდან.

გუშინ გვიან საღამოს გაიმართა მე-13 ტური.

ტრაგიკული მარათონი



სამწუხაროდ, მომრავლდა უბედური შემთხვევები სპორტულ შეჯიბრებებზე. აი, ბოლო ფაქტი: სამი სპორტსმენი გარდაიცვალა შვედეთში სათხილამურო რბოლის (90 კმ) დროს: ორი მოთხილამურე თავად რბოლის დროს დაიღუპა, მესამე კი – სტარტის წინ. სამივეს დიაგნოზი გულის შეტევაა.

როგორც ჩანს, გრძელი მარათონები ძალზე სარისკო ღონისძიებაა.

შარშან, ოქტომბერში 2 კაცი გარდაიცვალა ჩინეთის დედაქალაქში მარათონული სირბილის დროს. პეკინში მიმდინარეობდა საერთაშორისო მარათონი, რომელშიც მონაწილეობდა 25 ათასი კაცი. 20 წლის სტუდენტმა ლიუი სუნბინმა გრძნობა დაკარგა დისტანციის მე-17 კილომეტრზე. ის ჰოსპიტალში გარდაიცვალა.

ერთი დღით ადრე კი ტორონტოში საერთაშორისო მარათონის ბოლო კილომეტრზე გარდაიცვალა 43 წლის მორბენალი, რომლის ვინაობასაც რაგომღაც არ ასახელებენ. აქაც „მთავარი დამნაშავე“ გულის შეტევაა.

შარშანვე, აპრილში ტრაგიკული ფინალით დამთავრდა მასობრივი მარათონული სირბილი გერმანიაში, ჰამბურგში. ერთ-ერთმა მისმა მონაწილემ ფინიშის ხაზი კი გადალახა, მაგრამ იქვე მოცელილივით დაეცა. ექიმებმა სიკვდილი დააფიქსირეს. მორბენალის ვინაობა პოლიციამ დროზე ვერ დაადგინა. მარათონში 20 ათასამდე კაცი მონაწილეობდა.

დედოფლის საწოლში ვაკანტური ადგილია

„ყინულის დედოფალი“ – ასე იგ-

ნობენ გერმანელი გულშემატკივრები 28 წლის მოცეგურავეს ანი ფრიზინგერს. ორი წლის წინათ ის გათხოვდა შტეფან ედერზე, ძალზე რომ წაადავს ცნობილ ფრანგ მსახიობს პიერ რიშარს. ყველას უკვირდა, თუ რით მოხიბლა შეუხედავმა მიუნხენელმა სოცმუშაკმა მსოფლიო სპორგის ვარსკვლავი, რომლის ფოტოსურათები არ ჩამოდიოდა პოპულარული ჟურნალების პრიალა გარეკანებიდან.

გამოხდა ხანი და ფრიზინგერის ჯვერდით ადგილი საწოლში ისევ ვაკანტური გახდა, რასაც თავად მოცეგურავემ ტურინის ზამთრის ოლიმპიური თამაშების წინ ასე ხსნის: „შტეფანთან ცუდი დრო როდი გავაკარე, მაგრამ ახლა სპორგში ვარჯიშზე უნდა მოვახდინო კონცენტრაცია“, ალბათ, მშვენიერი ანის ჯვერდით ადგილი უწინდებურად დიდხანს არ დარჩება ვაკანტური.

◎ ღვაწლი

გზა ხვამლის მთიდან უნივერსიტეტამდე

ბაბადებიდან 70 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 45 წელი შეუსრულდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტატისტიკის კათედრის გამგეს, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ბიკენტი ბაბიბაშვილს.

კავკასიონის კალთებქვეშ მდებარე ხვამლის მთის ძირას, რიონის მარცხენა სანაპირზე განლაგებულ, ლეჩხუმის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელ ორხვში დაიბადა ბატონი ბიკენტი. ოჯახში ბავშობიდანვე ეზიარა შრომისმოყვარეობასა და პატიოსნებას. იქვე დაამთავრა სოფელ ტვიშის საშუალო სკოლა ვერცხლის მედლით და სწავლის გასაგრძელებლად ალმა-მატერს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მიაშურა. აქ, როგორც მედალოსანი, უგამოცდოდ ჩაირიცხა ეკონომიკის ფაკულტეტზე.

უნივერსიტეტის აღზრდილი დღესაც საოუთად ინახავს უმაღლეს სკოლაში მისი აღმზრდელების, სახელგანთქმული აკადემიკოსების, პროფესორ-მასწავლებლებისა და საზოგადო მოღვაწეების (პაატა გუგუშვილის, ირაკლი მიქელაძის, ნიკოლოზ ქოიავას, გიორგი ფეხმანის, ნიკოლოზ იაშვილის, იოსებ ბაჯაძის, ვასილ ჩანგლაძის, არჩილ ფოკიელის, კონსტანტინე გაბუნიას), აგრეთვე პატიოსნებითა და მაღალი პედაგოგიური უნარით დაჯილდოებული საშუალო სკოლის მასწავლებლების (ნადია ფრუიძის, ალიოშა ალავიძის, სონია ნემსწერიძის) და სხვათა ნათელ ხსოვნას.

უნივერსიტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ იქვე გააგრძელა ასპირანტურა აკადემიკოს ირაკლი მიქელაძის სამეცნიერო ხელმძღვანელობით. აქვე წარმატებით დაიცვა საკანდიდატო (1965 წ.) და შემდეგ – სადოქტორო (1985 წ.) დისერტაციები. მისი სამეცნიერო კვლევის ინტერესს წარმოადგენს სტატისტიკური მოღელირება და პროგნოზირება. ამ მიმართულებით მას გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, რომელთა შორისაა „Статистические методы многомерного экономического прогнозирования“ (монография) 1981 წ., „სტატისტიკის მოკლე კურსი (სახელმძღვანელო)“, 1989 წ., „სტატისტიკის ზოგადი თეორია (სახელმძღვანელო)“, 1994 წ., „სტატისტიკის თეორია (სახელმძღვანელო)“ 2005 წ., „მათემატიკური სტატისტიკა ეკონომიკაში (სახელმძღვანელო),“ 2005 წ. და სხვა მრავალი.

მსოფლიო სტატისტიკურ მეცნიერებას ბატონმა ბიკენტი გაბიძაშვილმა შესთავაზა მრავალგანზომილებიანი ეკონომიკური პროგნოზირების სრულიად ახალი მეთოდოლოგია – ექსპონენციალური და რეკურენტული საშუალოების გამოყენებით, რაც მოწონებულ და აღიარებულ იქნა მოსკოვის, ნოვოსიბირსკის, ლოძისა და სხვა მსხვილი სამეცნიერო ცენტრების მიერ.

ბატონმა ბიკენტიმ სამეცნიერო-პედაგოგიური და აღმინისტრაციული მუშაობის სახელოვანი გზა განელო. წლების განმავლობაში მუშაობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტის, პროფესორის, საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დეკანის, ხოლო 1974 წლიდან დღემდე სტატისტიკის კათედრის გამგის, პარალელურად კი – თბილისის ეკონომიკურ-სტატისტიკური ინსტიტუტის რექტორის თანამდებობებზე. იგი ჯანმრთელი ფიზიკური მდგომარეობითა და მაღალი შრომის უნარიანობით დღესაც აგრძელებს ნაყოფიერ მოღვაწეობას ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტატისტიკის კათედრის გამგის თანამდებობაზე.

აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ დღეს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სრულიად საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში წარმატებით მოღვაწეობენ ბატონი ბიკენტის მრავალი აღზრდილი – ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატები, დოქტორები, ბიზნესმენები და სახელმწიფო მოხელეები.

ბატონ ბიკენტისთან საუბრებში ამკარად იგრძნობა მშობლიური ქვეყნის დღევანდელი ცუდი მდგომარეობით გამოწვეული წუხილი, მაგრამ ოპტიმიზმსაც ვერ მალავს და დიდ იმედებს ამყარებს საქართველოში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ რეფორმებზე.

ბატონი ბიკენტი დაჯილდოებულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის მედლით, აგრეთვე ღირსების ორდენით.

ვუსურვებთ ბატონ ბიკენტს ხანგრძლივ და ბედნიერ სიცოცხლეს, ნაყოფიერ სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას.

მან თავისი მონაცემებით დაგვიმტკიცა, რომ 70 წელი სრულიადაც არ არის ბევრი ადამიანისთვის. დაე, ისიც დაგვიმტკიცოს, რომ არც 80, 90 და ასია ბევრი.

ძ. მარშავა,
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
ს. გელაშვილი,
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 55. ხუთშაბათი, 10 მარტი, 2005 წელი.

ალბომი

ყველას რაიმე აქვს სახსოვარი

ხალიანა ქარჩაიძისა და მაგა ხვედელიძის ქორწილი. ხელისმომკიდეები გელა გოკლიკიშვილი და მზია მეხრიშვილი. 1989 წ. ოქტომბერი.

მოგვაწოდა გულო კობახიძემ.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა. ტელ: 99-66-10.

ფოტოების მომწოდებელთ ვთხოვთ, რომ დაბეჭდვიდან ერთი კვირის ვადაში მოაკითხონ რედაქციას გამოქვეყნებული სურათების წასაღებად.

ალიართალი – ბალიართალი

ზოგჯერ ჩვენც ვიცინით

ჭურის გემო

ნაახალწლევს მაღლაკიდან დაბრუნებული ვილენ მარდალეიშვილი შთაბეჭდილებებს გვიზიარებს:

– რაიმეს შეტყობა თუ ესურს, სოფლის სალაყბოზე უნდა გახვიდე. ორიოდე დღით ჩასულმა მეც იქით გავწიე. მოდის ერთი ჯეილი და შემოგვჩივის, ღვინო გამიფუჭდა, რაღაც გემო გაპკრავსო.

– ჭურს რომ რეცხავდი, ოფლი ხომ არ ჩაგივარდა შიგ? – ჰკითხა მოსიმემ.

– არაო, – უპასუხა იმან.

– ჰოდა, ჭურის გემოც იმიგომ აქვს, – გაიცინა მოსიმემ.

თავი გააქლიბინა...

ოთარ ხუციშვილს მერაბ ბერაძის ქუდი მოეწონა. ახლავე გაჩუქებო, – უთხრა იმან და თავსარქმელი მოიშვლიპა.

– პაგარა მაქვს, მიჭერს, – დაიჩივლა ოთარმა.

– არა უშავს, მეც მიჭერდა, მაგრამ თავი გავაქლიბინე, – „დაამშვიდა“ მერაბმა.

შუბლი

ჩვევა მაქვს, მოსარშულ კვერცხს შუბლზე მირტყმით ვამტვრევ. ამას წინათ პაგარა ხიფათი შემემთხვა – შუბლი „გავილამაზე“. სამსახურში მოსულს ოთარმა კვერცხები და პური დამახვევრა. უცებ თავში ხელი შემოირტყა:

– ახლა რაღას იზამ, შუბლი ისედაც გატეხილი რომ გაქვს?

იუმორით მძიმე

– ეგ პალგო ელგუჯას ექნება კარგად, – ეუბნება ანზორ ბასილაია ოთარს.

– რანაირად ექნება კარგად, როცა მე 65 კილო ვარ, ეგ – 80 მაინც!

– სამაგიეროდ, შენ იუმორით ხარ მძიმე, – ანუგეშებს ანზორი.

ღმერთს მადლი შესწირე!

ოთარ ხუციშვილი – ჩემი ცოლი სულ იმას ჩიოდა, რძალმა ლაპარაკი არ იცის, მთელი დღე ისე გავა, ორ სიტყვას არ მეტყვისო. ვეუბნებოდი, გაჩერდი, ქალო, ღმერთს მადლი შესწირე, თორემ, ხმა რომ ამოიღოს, ვინ იცის, რას იტყვის?

რაც კარგია, კარგია!

ინდოეთის ოკეანეში 2004 წლის დეკემბრის მიწისძვრის შემდეგ მეცნიერთა გამოთვლით დედამიწის ბრუნვის სისწრაფე 1,2 წამით გაიზარდა.

– კარგია, – ამბობს ოთარ ხუციშვილი, – ხელფასებსაც სწრაფად დაგვირიგებენ...

სავარცხელი

– სავარცხელი არა გაქვს, წვრილი, წვრილი... – მეკითხება ია კალანდარიშვილი.

მოგვლეპილ თავზე ხელი გადავისვი და მივუგე:

– მაქვს, მაგრამ კბილები მოსტყდა და ვერ შემოგკაღრეს.

შემომხედა და გულიანად გაეცინა.

ბონდო გულიაშვილს

ორი წელია, კარდენახში არ ვყოფილვარ, დაიჩივლა ბონდომ.

გესიზმრება გამარჯვების,
ხან ბაღი და ხან ვენახი,
კარგი კია, მაგრამ, ძმაო,
წადი, ნახე კარდენახი!

არჩევანი

მამუკა ვაშაკიძე: – ერთხელ ჩვენმა მძღოლმა იური გაჯიევმა შემომჩივლა, ობლობაში გავიმარდე, ყველაფერი მაკლდა. ხარფუხიდან მოვდიოდი, შიმშილით კუჭი მეწვოდა. ღმერთს შევთხოვე, ერთი მანვეთიანი და ერთი დერი სიგარეტი მაპოვინე-მეთქი. გავიხედე და, გზის პირზე ფანჯრის რაფაზე „პრიმა“ არა დევს? წესიერად გახარებაც ვერ მოვასწარი, იქვე მანეთიანიც რომ შევნიშნე! საფუნთუშეში შევვარდი, ფუნთუშა ვიყიდე და მაღიანად ჩავკბიჩე, მერე სიგარეტიც გავაბოლე.

– რომელ ღმერთს შეეხვეწე?

– რომელს და... – ჩაფიქრდა იური, – „კანეშნა“, ჩემსას!

ახლა მე მჭირდება ლარიანი, მთელი დღეა ღმერთს ვეხვეწები და, ამის დედა ვაგირე, რჯული როგორ გამოვიცვალო ერთი ლარიანისათვის?

გამოსავალი მოძებნა

გაგეთში ჩემი „ალიართალი-ბალიართალი“ დაიგეგმა, მაგრამ მონიშნულ ადგილში არ ეტეოდა.

– არა უშავს, ორ ნაწილად გავყოთ – ჯერ „ალიართალი“ მივცეთ, მერე „ბალიართალი“, – გამოსავალი მოძებნა გურამ გოგიაშვილმა.

გურამ გოგიაშვილს

რომელმაც ოცდაათწლიანი შრომის შემდეგ ფრანსუა რაბლეს „გარგანტუასა და პანტაგრუელის“ თარგმნა გაასრულა.

რის ფრანსუა,
ან ვასუა,
გარგანტუა კარგა თუა!
რა ვულკანმა ამოხეთქა,
რა აბედი, რა კვესია,
გაგვიმხილე: ეგ ქმნილება,
შენია თუ რაბლესია?

ელგუჯა ლეგანიძე.

ცოტაც გავიღიმოთ...

გოგოსთან მისული ტიპი ხედავს, რომ ბინის კედლები მამაკაცთა ფოტოებით არის აჭრელებული.

— ესენი თქვენი წინაპრები არიან? — ეკითხება მასპინძელს.

— არა, ისინი თქვენი წინამორბედები გახლავან.

* * *

განცხადება: დავკარგე ადამიანურობისადმი რწმენა. მპოვნელებს ვთხოვ, ნუ აიღებენ: დაე, ეგდოს, სადაც დევს.

* * *

ერთჯერადი ლუდი: ერთხელ დალევ და მეტად არ მოგინდება.

* * *

— **მამაკაცო,** გასწიეთ თქვენი ხელები, რასაა ჩემზე რომ ფიქრობთ!

— სულაც არ ვფიქრობ იმას, თქვენ რომ გგონიათ.

— მე კი მეგონა, რომ თქვენ მამაკაცი ხართ!

* * *

— **ხელები** შორს თავისუფალი პრესისგან!

— რა თქმა უნდა, ხელები შორს და... ფეხებით შესდექ, ფეხებით!..

* * *

— **ძვირფასო,** თქვენმა ქმარმა იცის, რომ ღალატობთ?

— ჩემმა?! არა... თქვენმა კი იცის!

* * *

— **ძვირფასო** მეგობრებო! თქვენ უსმენთ გადაცემას „მათთვის, ვისაც სურს, იცოდეს, მაგრამ შეკითხვის რცხვენია“. ახლა კი თქვენთვის ცნობილი ტელეფონის ნომრით დაგვისვით თქვენი იდიოტური შეკითხვები!

კავკასიის საინფორმაციო ყოველკვირეულიდან

მიწისძვრის შედეგად დაზარალებულთათვის გამოყოფილი დახმარება მხოლოდ ზღვაში წვეთია

თბილისში ოპოზიციონერი პოლიტიკოსები ამტკიცებენ, რომ ხელისუფლება ატყუებს მოქალაქეებს, რომელთა სახლები დაზიანდა ან დაინგრა მიწისძვრის დროს

თბილისის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, დაეხარჯა მილიონობით დოლარი თიოქმის ამ სამი წლის წინ მომხდარი მიწისძვრის შედეგად დაზიანებული ქალაქის ძველი უბნების აღდგენისთვის. მაგრამ იმ ადამიანებს, რომლებიც სგიქიამ უსახლკაროდ დაგოვა, მიაჩნიათ, რომ გამოყოფილი თანხები ძალზე ცოტაა.

გასულ წელს მიღებული ქალაქის ბიუჯეტი შეიცავს დაახლოებით 11 მილიონ დოლარს, რომელიც განკუთვნილია მიწისძვრის შედეგად დაზარალებულთა დახმარების პროგრამის რეალიზაციისთვის. ახალი სახლების აშენებლობის გარდა, ეს პროგრამა ითვალისწინებს ჩვეულებრივი სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებას, აგრეთვე, დროებითი საცხოვრებლების გამოყოფას იმ პირთათვის, რომლებიც განსაკუთრებით დაზარალდნენ.

მიწისძვრა თბილისში მოხდა 2002 წლის 25 აპრილს, გვიან საღამოს. მაშინ მიწისქვეშა ბიძგების ძალა შეადგენდა 6 ბალს რიხტერის სკალით. დაიღუპა სამი კაცი, მრავალი ადამიანი დაშავდა, მეტ-ნაკლებად დაინგრა ათასობით სახლი.

მაგრამ გამოყოფილი ფული საკმარისია მხოლოდ 800 ოჯახის ბინებით უზრუნველყოფისთვის, როცა ხელისუფლებისგან დახმარებას ელის 22 ათასი ოჯახი, რომელთა ქონებასაც მიწისძვრამ აუნაზღაურებელი ზარალი მიაყენა.

უკვე თითქმის სამი წელია ნონიკ სირუმიანის ოჯახი ცხოვრობს ნახევრად დანგრეულ სახლში. ამ ადამიანებმა არაერთხელ მიმართეს დახმარებისთვის ხელისუფლებას, წარუდგინეს ოფიციალური დოკუმენტი იმის თაობაზე, რომ მათი პაგარა კერძო სახლი, რომელიც ქალაქის ცენტრალურ უბანში მდებარეობს, განეკუთვნება დაზიანების მესამე, ყველაზე საშიშ კატეგორიას. თუმცა, სამწუხაროდ, უშედეგოდ.

როცა მიწისძვრა მოხდა, ოჯახის ყველა წევრი შინ იმყოფებოდა. ჩამონგრეულმა საყრდენმა კედელმა კინაღამ ქვეშ მოიყოლა ნონიკის და – 20 წლის ანა. ამის შემდეგ, სახლი, რომელიც საუკუნეზე მეტი ხნის წინაა აშენებული, კვლავ ინგრეოდა და სადღეისოდ, სირუმიანების განკარგულებაში დარჩა უსაფრთხოების თვალსაზრისით ფრიად საეჭვო საცხოვრებელი ფართობის მხოლოდ ორი მესამედი. მაგრამ ამ ხალხს წასასვლელი არსად აქვს.

„მე ცოლი და ორი თვის ბავშვი მყავს, ვცხოვრობთ ყველა ერთად – შვობლები, და, ბებია, რომელიც 81 წლის არის“, – თქვა ნონიკმა.

„ალბათ, ვერ მოვხვდებით იღბლიანთა შორის, მაგრამ ბინა რომ მოგვცენ კიდეც, მე ავეჯს აქედან ვერ გავიგანთ, რადგან ტვირთის სიმძიმეს შესაძლოა, ჩამთანგრიოს ხის ვერანდა, არადა, ეს ქუჩაში გასასვლელი ერთადერთი გზაა“.

როგორც სახელმწიფო მოხელემ აკაკი გონგლაძემ თქვა, საექსპერტო კომისიის დასკვნის თანახმად, დაახლოებით 5 ათასი სახლი მიეკუთვნება დაზიანების მესამე კატეგორიას, 14 ათასი – მეორეს და კიდევ 5 ათასი – პირველ კატეგორიას.

ქალაქის საბინაო მეურნეობის სარეაბილიტაციო ცენტრის ხელმძღვანელმა ზურაბ ახმეტელმა გამოთქვა იმედი, რომ იღბლიანი ოჯახების რიცხვი შეიძლება გაიზარდოს კერძო ინვესტორთა დახმარებით, რომლებთანაც ქალაქის ხელისუფლებას შეეძლო ემუშავა თანადაფინანსების პრინციპით.

თუმცა, თქვა შემდეგ ახმეტელმა, ამისთვის საჭიროა საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა. „ინვესტორის საქმე მხოლოდ მშენებლობაა, ყველა თანმდევი ბიუროკრატიული საკითხის გადაწყვეტისთვის კი ქალაქის მთავრობამ უნდა იზრუნოს“, – აღნიშნა მან.

სგიქიური უბედურების შემდეგ შეიქმნა მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციის სპეციალური ფონდი, რომელშიც სახელმწიფო დახმარებისა და კერძო შესაწირების სახით გადარიცხა დაახლოებით 1,5 მილიონი დოლარის ოღენობის თანხები.

ფონდის ამკვამინდელი ხელმძღვანელის აკაკი გონგლაძის თქმით, მაშინ დაახლოებით 900 ათასი დოლარი დაიხარჯა სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის, 100 ათასი – ოვით ფონდის საჭიროებისთვის, დანარჩენი ფული კი შეისყიდეს 346 ბინა. მაგრამ ამ ბინების ფაქტობრივ მფლობელებს დღემდე ვერ დაუკანონებიათ საკუთრება.

როგორც გონგლაძემ აღნიშნა, ამჟამად ადგენენ, თუ რამდენად კანონიერად მოხდა ამ ბინების განაწილება. „250 ბინის შესახებ უკვე მზად არის დოკუმენტაცია მათი საკუთრებაში გადაცემის თაობაზე, 37 ბინასთან დაკავშირებით საქმეები გადაეცა სასამართლოს, რადგან მათი მფლობელები, სავარაუდოდ, არ უნდა იყვნენ ის პირები, რომლებიც მიწისძვრის შედეგად დაზარალდნენ“, – თქვა გონგლაძემ.

მიწისძვრის შედეგად დაზარალებული ადამიანების მიმართ ქალაქის მთავრობის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს აკრიტიკებს ზოგიერთი ოპოზიციონერი პოლიტიკოსი, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხები არ არის საკმარისი.

„თავდაპირველად ამ პროგრამის დაფინანსებისთვის გათვალისწინებული იყო 27 მილიონი ლარის გამოყოფა, მაგრამ ბოლო მომენტში გაირკვა, რომ ბიუჯეტში თურმე გაცილებით ნაკლები თანხა ფიგურირებდა“, – განაცხადა საკრებულოში „ახალი მემარჯვენეების“ ფრაქციის თავმჯდომარემ გიორგი მოსიძემ.

ამავე დროს, თვით მიწისძვრით დაზარალებულები ჩივიან, რომ ისინი ძალზე დიდი ხნის განმავლობაში ელიან დახმარებას მთავრობის მხრიდან.

ექიმი-რევმატოლოგი ლუიზა ოყროშიძე, რომლის ოჯახმაც ამ სგიქიური უბედურების შედეგად დაკარგა სახლ-კარი, იძულებული გახდა საცხოვრებლად გადასულიყო ნევროლოგიის ინსტიტუტში, რომელიც ქალბაგონი ლუიზას ოჯახის გარდა, ხელისუფლებამ დროებითი საცხოვრებლის სახით კიდევ 150 ოჯახს შესთავაზა. სადღეისოდ ცხრა სულისგან შემდგარი ოჯახი ცხოვრობს საავადმყოფოს ორ პალატაში, რომელთა საერთო ფართობი სულ 30 კვადრატული მეტრია.

შარშან, ლუიზამ და სხვა უსახლკაროდ დარჩენილმა ადამიანებმა შექმნეს საზოგადოებრივი ორგანიზაცია – მიწისძვრის შედეგად დაზარალებულთა კავშირი. „ჩვენი სახლის გადარჩენა კიდევ შესაძლებელია. ქალაქის ხელისუფლება რომ დაგვეხმაროს საშენი მასალების შესყიდვაში, საკუთარი ძალებით შევძლებდით სახლის აღდგენას“, – გვითხრა ქალბაგონმა ლუიზამ.

კავშირის აქტივისტები უკვე მეორე წელია მართავენ საპროტესტო აქციებს მერიის შენობასთან, მოითხოვენ, რომ ქალაქის ხელისუფლების წარმომადგენლებმა გულთან ახლოს მიიტანონ მათი გასაჭირი. „რაში გვჭირდება ეს ძვირადღირებული შოუ, რომელსაც ქალაქის მერი მართავს. სამასი ათას ლარზე მეტი დიახარჯა ახალი წლის ღამეს ქუჩაში დადგმული წარმოდგენისთვის“, – თქვა კავშირის აქტივისტმა, ეკონომისტმა გულიკო არჩვაძემ.

„არადა, გაცილებით სამართლიანი იქნებოდა, რომ ამ ფულით თუნდაც რამდენიმე ჩვენგანის ცხოვრება შეემსუბუქებინათ“.

ნატო ალაფიშვილი,
Black Sea Press საინფორმაციო საagენტოს კორესპონდენტი.
თბილისი.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.

მოწოდება

ბერიკაცებო, დავრგოთ ნერგები!

გიწვევთ მონაწილეობის მისაღებად ღონისძიებაში, რომლის დროსაც ბერიკაცები ახალ ნერგებს შემატებენ ედაქალაქს.

მექანიკური სამუშაო (სანერგე თხრილების ამოღება) შესრულებული დაგახვდებათ; თქვენ უმთავრესს გაკეთება მოგიწევთ – მისცეთ სიცოცხლე ნერგებს, გადასცეთ მათ ხელების სითბო, ურომლისოდაც არანაირი ნერგი არ ხარობს. წამოიყვანეთ შვილიშვილები, ჩაუგარეთ მათ ახალი სიცოცხლის დაბადების გაკვეთილი.

აქცია გაიმართება შაბათს, 12 მარტს. გასვლა ავგობუსებით 11 საათზე.

შევხვდეთ კათარზისში, დავით აღმაშენებლის 121. 95-16-46.

სანთელი

პატივის მიგება და არდავიწყება

კრწანისში, 7 მარტს ქალბაგონ ნანული შევარდნაძის დაბადების დღეს მის საფლავთან ის ადამიანები მივიდნენ, ვისაც მასთან ერთად, მისი ხელმძღვანელობით უმუშავია გაზეთში „მშვიდობა ყოველთა“ და საერთაშორისო ასოციაციაში „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“.

ორივე მისი დაარსებულია და ნაღოლიავები, ორივეს მიჰქონდა სიკეთე და მშვიდობა ადამიანებისთვის, თანხმობა და თანადგომა, რაც ყველაზე დიდი დეფიციტია ჩვენს საზოგადოებაში.

იმავე დღეს ნანული შევარდნაძის სამუშაო ოთახში გაიხსნა მემორიალური დარბაზი, არა როგორც მხოლოდ სიმბოლო და უკვდავყოფა, არამედ, როგორც ადგილი, სადაც გაგრძელდება ქალბაგონ ნანულის მიერ სათავედადებული საქვეყნო საქმე: საქველმოქმედო აქციები, შეხვედრები ქართველ და უცხოელ მოღვაწეებთან, ჩვენს მოქალაქეებთან, მკითხველებთან... სადაც მივლენ გაჭირვებული ადამიანები და მიიღებენ შველას.

საქართველოს ქალთა საბჭოს წევრები მერი წიკლაური, რომა კუხალაშვილი, ქეთევან გაბრუაშვილი, ლინა ბარათაშვილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს ქალთა მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე, ღირსეული დედა, ერთგული მეუღლე და მეგობარი

ზინაიდა კვაჭაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

რძალი მარადი ანასაშვილი, შვილიშვილები ნინო, ია მერაბიშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ივა დიმიტრის ასული ბაუბაშვილი-მერაბიშვილი

დაკრძალვა 10 III 13 სთ, ადიგენის რ-ნი, სოფელი უდე.

ძმა მერაბ სიჭინავა, რძალი მარინა ჩხარგიშვილი, ძმისწულები ქეთი და ანანო სიჭინავები იუწყებიან

ბორის ისაკის ძე სიჭინავას

გარდაცვალებას.

პანაშვიდი 11 III 16 სთ, დაკრძალვა 12 III 15 სთ, ჩხოროწყუს რ-ნი, სოფელი ლესიჭინე.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს აგროსაინჟინრო სამსახურის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ მექანიზაციის სამმართველოს უფროსის მოადგილეს ჯემალ ნადაშვილს დის

ნელი გიორგის ასულ ნადაშვილის

გარდაცვალების გამო.

შვილები ავთანდილ, ფრიდონ, თეა დავითაძეები, შვილიშვილები გიორგი, ლიკა, ენრიკო, სიძე გელა შაინიძე, რძლები ირმა, მარიკა იუწყებიან

გიორგი დავითაძის

გარდაცვალებას.

პანაშვიდი: 10, 11 III 16 სთ, დაკრძალვა 12 III 14 სთ, ქ. ბათუმი, დიმიტრი თავდადებულის ქ. 36.

~~ბატონ საბურთალოს რაიონის გამგეობა სამძიმარს უცხადებს ავთანდილ~~ დავითაძეს მამის

გიორგი დავითაძის

გარდაცვალების გამო.

გიგარულოდენ!

ლევანს საქართველოს სიყვარულით გავზრდით

რუსთავიდან გირეკავთ, თქვენი გაგეთი მემობელმა წამაკითხა, თბილისში უყიდია. აქ ჭირს მისი შეძენა. თურმე მკითხველებს სისტემატურად აცნობთ ახალი სიცოცხლის დაბადებას. ესეც მემობელმა მითხრა. თბილისში მუშაობს და იქ ახერხებს თქვენი გაზეთის შეძენას. რად არის ასე ძნელი საშოვნი?

ამ დღეებში ჩვენს ოჯახში ბიჭი დაიბადა. დედისერთა ქალიშვილი მყავს, მის მეუღლეს ვაჟი უნდოდა და გაუჩნდათ კიდეც ბიჭი. პაგარა ლევანის შინ შემორძანება მემობელთან ერთად კარგადაც აღვნიშნეთ.

ამბობენ, საქართველოში ვაჟანთა უფრო მეტიაო, ღმერთმა მათი წყალობით მომავალში ჩვენ და საქართველოს სიმშვიდე არ მოაკლოს. ლევანს საქართველოს სიყვარულით გავზრდით.

ოთარ ოძროცვარიძე.

ჩვენი ფილიალები: 93-34-04; 99-73-24.

წერილი რედაქციას

lfdf,heyjs [ehlf aekb vbvjmwtdfib

ფულის მიმოქცევის სრულყოფა ქვეყნის მოსახლეობისათვის არა მარგო ეკონომიკური და სოციალური, არამედ პოლიტიკური თვალსაზრისითაც ძალზე მნიშვნელოვანია. გვინდა მკითხველს ყურადღება მივაპყროთ ერთი შეხედვით თითქოს უმნიშვნელო ფაქტს: საქართველოში ამჟამად არსებული ფულის ნიშნების შემოღებიდანვე ფულის მიმოქცევაში თითქმის არ მონაწილეობს ერთი და ორი თეთრის ღირებულების მონეტები, მაშინ როცა საქონლითა და მომსახურების ფასები ითვალისწინებენ მათ არსებობას. ეს განსაკუთრებით შეიმჩნევა ტელეფონის, გაზის, წყლის, ელექტროენერგიის საფასურის გადახდის პროცესში. ამ მონეტების უქონლობის გამო ხდება დამრგვალება გადამხდელი პირების საზიანოდ. ვინ ითვისებს ამ თანხას? თანხის რაოდენობა საკმაოდ დიდია. მაგალითად, 1 მილიონი კაციდან თითო თეთრის დაკლებით ვიღაც 10 ათას ლარს იჯიბავს.

ამ პრობლემაზე არ გავამახვილებდით ყურადღებას, საქართველო ღარიბი ქვეყნების რიცხვში რომ არ იყოს. თუმცა ამ საკითხის მოუგვარებლობისა და სხვათა გამო ვართ ჩამორჩენილ ქვეყნებთა შორის მოწინავეთა რიგებში.

ჩვენი აზრით, სახელმწიფოს არ უნდა გაუჭირდეს პრობლემის გადაწყვეტა, თუკი მოისურვებს, არადა, რამდენი ადამიანი დაადწევს თავს უხერხულ სიტუაციებს, როცა კუთვნილს ითხოვს და ან არ აძლევენ, ან ლანძღავენ კიდეც, კუთვნილის მოთხოვნის გამო.

რევაზ ფაჩულია,
დავით კურტანიძე.

საქართველოს რესპუბლიკა
Sakartvelos Respublika
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები
გამომცემელი – შპს „ახალი საუკუნე“
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი
რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი
რუსუდან ლორთქიფანიძე.

ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, პოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში.

ინდექსი 66434, მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge
ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika